# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 ივლისი 2005 №153 (2476) ფასი 50 თეთრი


# ჟორდანია ციხეში გამოიზაფხულებს

## ხელისუფლებისთვის ყოფილი პრეზიდენტი კვლავაც საშიშია



მერაბ ჟორდანიას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დარჩენა 7 ოქტომბრამდე მოუწევს — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საოლქო სასამართლომ, მოგვიანებით კი სააპელაციო პალატამ ეს განჩინება ძალაში დატოვა.

გუშინ ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატი შალვა შავგულიძე დიდხანს ცდილობდა დაემტკიცებინა მოსამართლეებისთვის, რომ მერაბ ჟორდანია უკანონო პატიმარია და საპროცესო კოდექსის შესაბამისად, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ...

მესამე გვერდი



9

# ლონდ ომი!

## ტრაგედია ბედნიერების მეორე დღეს




გუშინ ლონდონში უბუდურება დატრიალდა — ტერორისტებმა აფეთქებათა სერია მოაწყეს. მათ მიზანში ამოიღეს ქალაქის სატრანსპორტო ქსელი. არიან დაღუპულები და დაშავებულები.

და ეს ყველაფერი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად დასახელების მეორე დღეს მოხდა. ამ ეტაპზე იმის მტკიცება, რომ ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან რაიმე კავშირი აქვს, შეუძლებელია. ლონდონელთა საოლიმპიადო განაცხადის შეფმა კეიტ მილსმა ყველა დაგეგმილი საზეიმო ღონისძიების გაუქმება ბრძანა.

„დაზაფრული ვარ, ეს ხომ ჩვენი ქალაქია — თქვა მან — ახლა მხოლოდ დაზარალებულთათვის ვლოცულობთ. მთავარი ეს არის."

სინგაპურში, სოკ-ის კონგრესზე გახლდათ ლონდონის მერი კენ ლივინგსტონიც, რომელმაც ტრაგედიის შესახებ ტელევიზიით შოპინგიდან სასტუმროში ახალმიბრუნებულმა შეიტყო. მან მყისვე იქირავა ტაქსი და უკომენტაროდ გაეშურა აეროპორტისკენ.



**ლონდონის გამარჯვება შვიდკაცას ოლიმპიური შანსია**

13




# ჟორჟიკაშვილს და ბიჭებს დღეს ფინალი და იტალია ელით

*დღეს იტალიაში, ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ტურნირის ფინალში მასპინძლებს, იტალიელ თანატოლებს დაუპირისპირდება. შეხვედრა ჩვენი დროით 18.30 საათზე დაიწყება. გუშინ კი ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს დავუკავშირდით ლინიანოს ოლიმპიურ სოფელში*

— იტალია—ფინეთის მატჩს დაესწარით, მეტოქეზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— იტალია ტაქტიკურად ძალიან განსწავლული გუნდია, ათლეტიზმით და სისწრაფითაც გამოირჩევა, იტალიელები ჩვენსავით მეტწილად 1988 წელს დაბადებული ჭაბუკებით არიან დაკომპლექტებული და ექვსი 1990 წელს დაბადებულიც ჰყავთ. მათგან ათი ნომერი გამოვარჩიე, ტექნიკური ბიჭია.

— იტალია იტალიაა და თანაც მასპინძელი — სხვა უპირატესობაც აქვს ჩვენს მეტოქეს?

— ამ ტურნირამდე ჩვენ ერთი ამხანაგური მატჩიც არ გვითამაშია, იტალიელები ჩვენზე უფრო შეთამაშებულები არიან.

— მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება?

— იტალია — ფინეთს დაახლოებით ხუთი ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ფინალი ლინიანოდან 15 კილომეტრში, ლატიზანაში გაიმართება, იქ ტურნირის პირველი მატჩიც ვითამაშეთ.

— წინა ორ მატჩთან შედარებით ჩვენი გუნდის საფინალო შემადგენლობა ალბათ დიდად განსხვავებული არ იქნება...

— არა, მაგრამ რაღაც ცვლილებებს შესაძლოა მაინც მივმართოთ, უფრო ალბათ ნახევარდაცვაში.

**დავით თავართქილაძე**

# დამ-კორტნი-თ ტალინს?

## ლევადია იგებს და ფართოვდება

**როგორც იცით,** 12 ივლისს ტალინის „კადრიორგზე" თბილისის „დინამო" საჩემპიონთალიგო მატჩში ესტონურ „ლევადიას" შეებმება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ შეხვედრას ჩრდილოირლანდიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება: მარკ კორტნი (მთავარი მსაჯი); ჯერარდ ფლინი, დერეკ მაირზი (გვერდითები); კენ გინეტი (მეოთხე მსაჯი). ინსპექტორი ინგლისელი ჯონ ედვარდ მარტინი იქნება, უეფას დელეგატი კი — უნგრელი იშტვან ჰუჟარი.

ამასობაში „ლევადიამ" ესტონეთის ჩემპიონატში „ვალგას" უმასპინძლა და 3:0 მოუგო, კონსტანტინ ვასილიევმა დუბლი შეასრულა, ერთიც ვიტალი ლეიტანმა მიამატა. აქვე ვთქვათ, რომ ლეიტანი ლევადიელთა საუკეთესო მეგოლეა — ამ სეზონში 8 ბურთი აქვს გატანილი. მოკლედ, ესტონელები კარგ ხასიათზე დაუხვდებიან დინამოელებს.

„დინამოს" მეტოქემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კოტენკო, შიშოვი, ხოხლოვ-სიმსონი, ჩეპაუსკასი, დმიტრიევი, ტენისტე (პურიე 60), დავიდენასი, ნაჰკი, ვასილიევი, ლეიტანი (კალიმულინი 54), ზელინსკი (რიშკევიჩი 13).*

„ლევადია" ესტონეთის ჩემპიონატში 18 ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ქულებით თანაბრობს ლიდერ ტვმკ-სთან, რომელსაც ერთი თამაში მარაგში აქვს. და კიდევ, ტარმო რუუტლის გუნდმა ტარტუს „მერკურიდან" 24 წლის ნახევარმცველი სიქსტენ კაზიმირი ექვსი თვით ინათხოვრა.

**ილია ნანობაშვილი**

# ყაზახეთს სანიკიძე შეემატა

**ყაზახეთს,** სადაც არაერთი ქართველი თამაშობს, თბილისის „ლოკომოტივიდან" ერთიც შეემატა — საყრდენი ნახევარმცველი ლევან სანიკიძე. ის კუსტანაის „აქტობეში" ექვსი თვით დარჩება და თუ კლუბისა და ფეხბურთელის სურვილი იქნება, კონტრაქტი ერთი წლითაც გაგრძელდება.

ლევან სანიკიძე, ვინც „ლოკომოტივთან" ერთად წლეულს საქართველოს თასი მოიპოვა, ყაზახეთში ერთი თვის წინ წავიდა და აქამდე თავის ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. კონტრაქტი კი ორიოდ დღის წინ გააფორმა.

**ლუკა თალაქვაძე**

# ამერული სამეია

## კვახაძე გზას ჩიხრაძესთან გააგრძელებს




გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**პირველი ლიგის** ჩემპიონმა და აწ უმაღლესლიგელმა „ამერმა" „ვიტ ჯორჯიადან" 23 წლის გიორგი კვახაძე გადმოიყვანა. ის ამპლუით მარჯვენა მცველია, ვიტელთა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახლდათ და ევროტურნირებიც მოუსინჯავს. ვეტერინარებში გიორგი უმცროს ძმასთან, ალექსანდრესთან ერთად თამაშობდა, დღეს კი იგი „ამერის" მესამე ახალწვეულია მეკარე გიორგი ნიკურაძისა და ფორვარდ დიმიტრი ტატანაშვილის შემდეგ.

რატომ მაინცდამაინც „ამერი"? „ეს კლუბი ყველანაირად მოწესრიგებულია, მშვენიერი მინდორი და ბაზა აქვს, ინფრასტრუქტურის მხრივ აწყობილია. „ვიტ ჯორჯიაში" კონტრაქტი სეზონის ბოლოს დამიმთავრდა და როდესაც „ამერისგან" წინადადება მივიღე, ბევრი არ მიფიქრია. „ბორჯომის" ვარიანტიც მქონდა, მაგრამ „ამერი" უკეთესი გუნდი ჩანს" — კვახაძე იქვე ამბობს, „ამერის" მთავარი მწვრთნელის გიორგი ჩიხრაძის თანაშემწე ნუგზარ ბოჯგუა კარგად მიცნობს, „ცხუმში" თამაშისას იგი გვწვრთნიდა და ჩემი არჩევანი დიდწილად ბოჯგუას ფაქტორმაც განაპირობაო.

„ვიტ ჯორჯიამ" შარშან საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ამერს" ორივე თამაში მოუგო, მაგრამ გიორგის ანგარიშები არ აქტყუებს: „მაშინ ვიტელებს კარგი გუნდი გვყავდა, ამერელებმა მაინც საკმაო წინააღმდეგობა გაგვიწიეს, 2:0-ს გვიგებდნენ, მაგრამ ეტყობა, გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეს. ახალ გუნდში გიორგი დეკანოსიძის გარდა არავის ვიცნობ, მაგრამ ისეთი ხასიათისა არა ვარ, ახალ თანაგუნდელებთან დამეგობრება გამიჭირდეს".

„ამერში" კვახაძის კონკურენტი ამირან კედელაშვილი იქნება, ვისაც ახლა სერიოზული ტრავმა აქვს. თუმცა ესაც რომ არა, გიორგის დაცვის ცენტრშიც არაერთხელ უთამაშია. ჩიხრაძის გუნდის ახალწვეული საევროთასო მატჩებსაც იხსენებს, მაშინ „ვიტ ჯორჯია" უფრო ძლიერი იყო გუნდურად და ფინანსურადაც, იგივე „პაშინგთან" და „ლოკერენთან" თამაშით გამოცდილება შევიძინეო.

კვახაძემ გუშინვე ითამაშა „ამერის" მაისურით, ტესტ-მატჩში „სიონს" დაუპირისპირდა და საკმაოდ ნორმალურად გაისარჯა.

**ილია ნანობაშვილი**

# ამერი ქუბაში მიდის

**გუშინ** „შევარდენის" სტადიონზე საკონტროლო მატჩი გაიმართა — თბილისის „ამერმა" ბოლნისის „სიონი" 2:0 დაამარცხა.

ბოლნისელებისთვის ეს მეხუთე ტესტ-მატჩი იყო — „სიონმა" ხუთივე წააგო, თუმც ისიცაა, ბოლნისელთა გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელი ისინჯება. ახალი კი ისაა, რომ „სიონში" ლადო კაკაშვილი მივიდა, ვინც ბოლოს ბულგარულ „ჩერნო მორეში" თამაშობდა.

რაც შეეხება „ამერს", ეს მისი მეორე საკონტროლო შეხვედრა იყო ბაკურიანული შეკრების შემდეგ.




გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**სულიკო დავითაშვილი (№14) გუშინაც გამორჩეული იყო**

ამერელთა შორის პირველად ითამაშა „ვიტ ჯორჯიადან" წამოსულმა მცველმა გიორგი კვახაძემ.

გუშინდელი შეხვედრა ამერელთა უპირატესობით წარიმართა, პირველ ტაიმში სულიკო დავითაშვილმა იხეირა, მეორეში გიორგი დეკანოსიძემ, საგოლე მომენტების მხრივაც უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო.

„სიონი" რამდენიმე დღეში აიბარგება და შეკრებას გრიგოლეთში გააგრძელებს. „ამერი" კი 10 ივლისიდან აზერბაიჯანში, ბაქოდან დაახლოებით 200 კილომეტრში, დაბა ქუბაში მიდის, სადაც ოლიმპიურ კომპლექსში დაბინავდება და მოემზადება.

გუშინ კი „ამერმა" და „სიონმა" ასეთ შემადგენლობებით ითამაშეს:

**ამერი:** ნაჭყეპია, კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, კაიდარაშვილი, ბერიანიძე, სილაგავა, გარუჩავა, ჩხეტიანი, დეკანოსიძე, დავითაშვილი. *შეცვლაზე შევიდნენ:* ნადირაშვილი, დობროვოლსკი, მჭედლიშვილი, ჩიმაკაძე, გელაშვილი, გოგრიჭიანი, ვარამაშვილი, ნადირაძე.

**სიონი:** ბობღიაშვილი, ნადირაშვილი, კაკაშვილი, ხანიშვილი, კორსანტია, ქუცურუა, ხმალაძე, ალავიძე, დარჩიძე, დვალი, მიკუჩაძე. *შეცვლაზე შევიდნენ:* რაქვიაშვილი, ბაჯელიძე, სვანიძე, ჩაჩუა, ტატიშვილი, ზაზაშვილი.

**დავით თავართქილაძე**





გუშინ შალვა შავგულიძე სასამართლოს თავისი კლიენტის სასარგებლოდ ვერაფერი შეასმინა — მერაბ ჟორდანია ისევ ტუსაღია

# მერაბ ჟორდანია ციხეში ოქტომბრამდე დატოვეს

## როდის იქნება ახალი გარემოებები?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ისევ წინასწარ პატიმრობაშია, მას 4 ივლისის თბილისის საოლქო სასამართლომ სასჯელის ვადა კიდევ სამი თვით, 7 ოქტომბრამდე გაუგრძელა. გუშინ ეს გადაწყვეტილება მერაბ ჟორდანიას მხარემ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა, მაგრამ არაფერი შეცვლილა — ყოფილი პრეზიდენტი ციხეში დარჩა...

არადა, ადვოკატი შალვა შავგულიძე გუშინ ბევრს ეცადა, სააპელაციო პალატა დაერწმუნებინა, რომ მერაბ ჟორდანია უკანონო პატიმრობაშია და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. შავგულიძემ მოსამართლეების წინაშე ოთხჯერ დააყენა პატიმრის გათავისუფლების შუამდგომლობა, მაგრამ სააპელაციო პალატამ ადვოკატს ოთხჯერვე უარი უთხრა და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვალა.

შალვა შავგულიძის თქმით, სააპელაციო პალატამ მისი საჩივრის განხილვა დაგვიანებით დაიწყო და ამიტომაც მერაბ ჟორდანია უკანონო პატიმრობაშია.

— ჩვენ საოლქო სასამართლოს 4 ივლისის გადაწყვეტილება 5 ივლისს გავასაჩივრეთ. საჩივარი კანცელარიამ თორმეტის ნახევარზე ჩაიბარა და სააპელაციო პალატა ვალდებული იყო ის 24 საათის განმავლობაში განეხილა. დღეს კი 7 ივლისია. ვინაიდან დაირღვა საპროცესო კოდექსი, ახლა სააპელაციო პალატას საჩივრის განხილვის უფლებამოსილება აღარ აქვს, ჟორდანია უკვე 24 საათზე მეტია, უკანონო პატიმარია და მოვითხოვ მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას — დაახლოებით ასე მიმართა პალატას შალვა შავგულიძემ. პასუხად სახელმწიფო ბრალმდებელმა და გამომძიებელმა შესვენების გამოცხადება ითხოვეს, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. სხდომა დაახლოებით ნახევარ საათში განახლდა. მოსამართლემ ადვოკატს ორიოდ დღის წინ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესახებ ამცნო, რის თანახმადაც, სააპელაციო პალატას საჩივრის განხილვა 48 საათის განმავლობაში შეუძლია. ერთი ნიშანდობლივი ამბავი, კოდექსში ამ ცვლილების შესახებ მოსამართლეთა დიდ ნაწილსაც არაფერი სცოდნია.

შავგულიძე არ დაიბნა და უმალ საათს დახედა. ახლა სამის ნახევარია, 48 საათი თორმეტის ნახევარზე ამოიწურა და ყველა შემთხვევაში მერაბ ჟორდანია უკანონო პატიმარიაო. სააპელაციო პალატამ შავგულიძის ამ შუამდგომლობის საპასუხოდ დამსწრეთ დარბაზი დაგვატოვებინა, ათ წუთში კი გამოაცხადა, რომ ადვოკატის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. მოტივი: ჟორდანიას მხარის საჩივარი 5 ივლისის თორმეტის ნახევარზე საოლქო სასამართლოს კანცელარიას ჩაბარდა და არა სააპელაციო პალატას. საჩივარი პალატამ ხუთის ნახევარზე მიიღო და კანონით მოცემული დრო არ დარღვეულაო. სხდომა გაგრძელდა. შალვა შავგულიძემ კიდევ ერთხელ ითხოვა ჟორდანიას გათავისუფლება, აღნიშნა, რომ საჩივარი საოლქო სასამართლოს კანცელარიას ჩავაბარეთ და ამით ჩვენი ვალდებულება შევასრულეთ, კანცელარიამ საჩივარი სააპელაციო პალატას როდის გადასცა, ეს ჩვენი პრობლემა არ არისო. მოსამართლეებმა კიდევ ათი წუთით დაგვატოვებინეს დარბაზი, შემდეგ კი ისევ ძველი თქვეს და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს.

დერეფანში მყოფი ადვოკატი უკვე ხმამაღლა ამბობდა, ჩვენს სამართლიან მოთხოვნას სააპელაციო პალატა არ დააკმაყოფილებს და შესაძლოა, საქმე ევროპის სასამართლომდეც მივიყვანოთო. მიუხედავად ამისა, შალვა შავგულიძემ ერთხელაც გაიბრძოლა, მერაბ ჟორდანია საზოგადოებისთვის საშიში არ არის, გამოძიებას არ დაემალება და წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეთო. საპასუხო სიტყვისას კი გამომძიებელმა მერაბ ჟორდანიას პირველად დაპატიმრება გაიხსენა და თქვა, მაშინ ბრალდებული თვითმფრინავის ტრაპზე დავაკავე, მიმალვას ცდილობდაო. სახელმწიფო ბრალმდებელმა კი დაამატა, რომ გამოძიება გრძელდება, ჩვენს კითხვებზე პასუხს შვეიცარიის ბანკიდან ველით, ასევე თბილისის „დინამოს" საბუღალტრო საქმეების გადამოწმება მიმდინარეობს და ჟორდანიას გათავისუფლების მოთხოვნას არ ვეთანხმებით.

კამათის მოსმენის შემდეგ სააპელაციო პალატამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნახევარი საათიც ითათბირა და როგორც უკვე ვთქვით, ადვოკატის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ანუ მერაბ ჟორდანია კიდევ სამი თვით პატიმრობაში დარჩა.

შეგახსენებთ, გამოძიება მერაბ ჟორდანიას თაოვისება-გაფლანგვის მუხლით ედავება და თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობის პერიოდს უხსენებს.

სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, თანხების მითვისება იმით გამოიხატება, რომ ჟორდანიამ „დინამოს" ანგარიშიდან დიდძალი თანხა ათასი შვეიცარიული ფრანკი შვეიცარიის ბანკში პირად ანგარიშზე გადარიცხა, ხოლო გაფლანგვაზე „დინამოს" ბუღალტერიაში არსებული დარღვევები მეტყველებს. ბრალმდებლის თქმით, ჟორდანიასთვის პატიმრობის ვადის სამი თვით გაგრძელება ამ ეტაპზე გამოძიებისთვის საკმარისი იქნება. ადვოკატმა შალვა შავგულიძემ კი გვითხრა, რომ შესაძლოა, მერაბ ჟორდანიას საქმეში ახალი გარემოებები გაჩნდეს და ის 7 ოქტომბრამდეც გათავისუფლდეს.

**კობა ინასარიძე**



# ხაჩიძე უგუნდო გუნდში მივიდა

**გორის** „დილა" საუმაღლესლიგოდ გუნდს ვერ აკომპლექტებს. „დილადან" რამდენიმე ფეხბურთელმა „ცხინვალს" მიაშურა, ბევრსაც კონტრაქტი აღარ აკავშირებს კლუბთან და ვის დამატებას მოასწრებენ გორელები სეზონის დაწყებამდე, ძნელი სათქმელია.

გუშინ გაირკვა, რომ „დილას" ვლადიმერ ხაჩიძე გაწვრთნის. ხაჩიძეს ადრეც უთავკაცია ქართლური კლუბისთვის, ბოლო წლებში კი „ვიტ ჯორჯიას" მეორე მწვრთნელი გახლდათ და ერთი ხანობა ვიტელთა მთავარი გამძღოლიც იყო. სწორედ კოჭლაშვილ-ხაჩიძის მწვრთნელობისას გახდნენ ვეტერინარები საქართველოს ჩემპიონები, გასულ ზამთარს კი კლუბის ხელმძღვანელობამ ორივე მათგანი გაათავისუფლა.

**ლუკა თალაკვაძე**



ვლადიმერ ხაჩიძეს „დილა" ადრეც გაუწვრთნია

# საევროთასო კენჭი ფუტზალშიც იყარა

## იბერიელებს დარბაზის მეფეკლუბი დაეჯახათ

გუშინ შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბბინაში, ფუტზალისტთა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. განვმარტავთ, უეფას თასი ფუტზალში უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირია, ანუ იგივეა, რაც ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგა.

საქართველოს ჩემპიონი „იბერია 2002" პირველ საკვალიფიკაციო ჯგუფში ბელგიური შარლერუას „აქსიონ 21"-ს, პოლონურ „კლირექსსა" და ლიტვურ „ნაუტარას" შეხვდება.

ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გავა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამდენად, „იბერია 2002"-სთვის ამ ამოცანის გადაჭრა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება და აი, რატომ: მიუხედავად იმისა, რომ აკა ქავთარაძის გაწვრთნილი იბერიელები საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, ზოგადად ფუტზალი მიტოვებული სახეობაა ჩვენთან — დაფინანსებაც უმწირესია და ქვეყნის ჩემპიონატის დონეც უკეთესის სურვილს ტოვებს.

თანაც შარლერუას „აქსიონ 21" უეფას თასის მოქმედი მფლობელია, ამ გუნდმა წინა სეზონის ფინალში მოსკოვში დაამარცხა იქაური „დინამო" — 4:3. „იბერია 2002" ჯგუფურ მატჩებს, ალბათ, პოლონეთში გამართავს 8-14 ოქტომბერს.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| დინამო თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭვეიშვილი (?) | ფორტცაინი (გერმანია) 5:1<br>ჰალბრონი (გერმანია) 5:0<br>რადოსფელდი (გერმანია) 8:1<br>სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1<br>გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0<br>შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2 |
| ტორპედო ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?)* | |
| თბილისი თბილისი | | გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), მინ ჩოი (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი),* შ. ჯიქია (ბორჯომი), აფციაური (ბორჯომი), ფიფია (?) | სიონი 4:3 |
| ლოკომოტივი თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინოგოვი (?, უზბეკეთი) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), სანიკიძე (აქტობე, ყაზახეთი) | სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3, დიარბაქირი (თურქეთი) 0:4 |
| ზესტაფონი ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?)* | |
| ვიტ ჯორჯია თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | ინწკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი), გ. კვახაძე (ამერი) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 |
| დინამო ბათუმი | *ნუნუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (სიონი), ბეგლარ თედორაძე (სიონი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | |
| სიონი ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), კაკაშვილი (ჩერნო მორე), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (უგუნდო), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი), დარჩიძე (ბათუმი) | რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?, ლატვია), ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი) | ლოკომოტივი 1:6, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4, სოხუმი 0:2, ამერი 0:2 |
| კოლხეთი ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), თაყაძე (ცხინვალი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი) | |
| დილა გორი | *ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)* | მამესწარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ფ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| ამერი თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი) კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | გაგრა 0:1<br>სიონი 2:0 |
| ბორჯომი ბორჯომი | მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), აფციაური (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *პაპიძე (უგუნდო), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)* | კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | სიონი 5:0, სოხუმი 0:1 |
| დინამო სოხუმი | ყორყოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო),* ჟვანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბიძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), ჩომახიძე (ჩიხურა), გ.ჩხაიძე (ჩიხურა) | | ბორჯომი 1:0, სიონი 2:0 |
| კახეთი თელავი | კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), | | |
| ცხინვალი ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?), გამცემლიძე (?), თაყაძე (კოლხეთი) | | |
| სპარტაკი თბილისი | | ტატანაშვილი (ამერი), ლონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ჟვანია (ორივე სოხუმი) | |

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი,
დახრილი შრიფტით: სავარაუდო ტრანსფერი

# მილანმა ჯილარდინო დახურა არივედერჩი იანვრამდე




ალბერტო ჯილარდინოზე „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ გადაჭრით არც ჰო თქვა და არც არა

**საგას ალბერტო ჯილარდინოს ტრანსფერის შესახებ დასასრული არ უჩანს. ვითარება ყოველდღიურად რადიკალურად იცვლება და უკვე რაიმე ვარაუდის გაკეთებაც ძალიან ძნელია. ახალგაზრდა ვარსკვლავის მთავარ მსურველად კვლავ „მილანს" მიიჩნევენ, მაგრამ „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ სულ ცოტა ხნის წინ ოფიციალური განცხადება გააკეთა, ჩვენ კლუბში ამ ზაფხულს მეტი ტრანსფერები აღარ იქნებაო. თუმც გამორიცხული არ არის, მილანური კლუბის ხელმძღვანელობა უბრალოდ, „პარმას" „შეშინებას" და ჯილარდინოს ფასის დაგდებას ცდილობდეს**

**ადრიანო გალიანი:** „მილანისთვის" საზაფხულო სატრანსფერო ფანჯარა დახურულია. ჩვენ ყველა რგოლში საკმაოდ ძლიერად გამოვიყურებით და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ასე რომ, ზამთრამდე ცვლილებებს ნუ დაელოდებით. რაც შეეხება ჯილარდინოს, არანაირ აუქციონში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ, სასტარტო ფასი ძალიან მაღალია. „პარმას" დასახელებული 30 მილიონი ევრო მართლაც ზედმეტად მიმაჩნია. დღევანდელ ფეხბურთში რომელიმე ფეხბურთელში ამგვარი თანხის გაღება თითქმის შეუძლებელია. ვწუხვარ, რომ ამ მხრივ ქომაგებს გული უნდა დავწყვიტოთ".

მიუხედავად გალიანის ამგვარი განცხადებისა, „მილანში" გადასვლის იმედს არ კარგავს თვად ჯილარდინო. 5 ივლისს იგი 23 წლის გახდა, რაც მექსიკაში აღნიშნა. ერთი დღის შემდეგ ფეხბურთელი უკვე სამშობლოში დაბრუნდა და მყისვე თავის სატრანსფერო ამბებში ჩაება.

„ამ მომენტისთვის მე ისევ „პარმას" ფეხბურთელი ვარ. არადა, იმედი მქონდა, რომ „ბოლონიასთან" გადათამაშების დასრულებისთანავე ყველაფერი გადაწყდებოდა. პრიორიტეტს კვლავ „მილანს" ვანიჭებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სხვა გუნდის წინადადებასაც დავთანხმდე. იმედია, კლუბი ყველანაირად დამეხმარება და ეს საკითხი მალე დაიხურება, რადგანაც ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და არ მინდა, რამე შეიცვალოს. მჯერა, „პარმა" ჩემს პოზიციას ანგარიშს გაუწევს" — აღნიშნა ჯილარდინომ.

ფაქტობრივად, იგივე აზრზეა ფეხბურთელის აგენტი პეპე ბონეტოც. მისი თქმით, „მილანი" დაახლოებით 3 მილიონით ნაკლებს იხდის, ვიდრე „პარმა" ითხოვს. ბონეტოს სჯერა, რომ მხარეები შეძლებენ, კომპრომისული ვარიანტი იპოვონ.

ბეპე ბონეტო: „ალბერტოს სიაში პირველი ისევ „მილანია" და შექმნილ ვითარებაშიც „შავ-წითლებს" ყველაზე კარგი შანსი აქვთ. კრისტიან ვიერის ტრანსფერი არაფერს ცვლის. უბრალოდ, იგი მილანელებმა ერნან კრესპოს ნაცვლად დაიმატეს. ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ხშირ კონტაქტს ვინარჩუნებთ „იუვენტუსთან", ხოლო „ჩელსისგან" წინადადება არასოდეს მიგვიღია".

მოგეხსენებათ, „მილანისა" და „იუვენტუსის" გარდა, ალბერტო ჯილარდინოზე კიდევ ერთი იტალიური გრანდი, „ინტერიც" ფიქრობს. მართალია, სპეციალისტების აზრით, „ნერაძურის" შანსები ძალიან მიზერულია, მაგრამ კლუბის მფლობელი მასიმო მორატი არაფერს გამორიცხავს: „იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია და ყველა კლუბი, მათ შორის ჩვენც, სიამოვნებით დაიმატებდა ალბერტოს. მთავარი პრობლემა ფულია, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ჩვენც იმედს არ ვკარგავთ. უბრალოდ, ახლა მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ".

**გიორგი კაკაბაძე**



სტივენ ჯერარდი „ლივერპულის" ერთგულია

# ჯერარდის ბოდიში 200 ათასი გირვანქა ღირს

**ამ შუა კვირაში,** სტივენ ჯერარდმა მოახდინა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საკვირველი შემობრუნება: წუხელ ღამით, ერთკვირიანი ჩხუბის შემდეგ, მან უთხრა „ლივერპულს", სამუდამოდ შენი ვარო.

არადა, საქმე ისე ჩანდა, რომ „ლივერპულს" კაპიტანი „ჩელსიში" გადავიდოდა 35 მილიონ გირვანქად, რახან ყველა მოლაპარაკება ჩაშლილიყო და კლუბი და ფეხბურთელი ერთმანეთს ლანძღავდნენ.

უახლოეს 24 საათში კი სტივენ ჯერარდს ახალი კონტრაქტი ექნება და კვირაში 200 ათას გირვანქას მიიღებს ხელფასად.

„მართლა ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და ძალიან მიჭირდა აქედან წასვლა — თქვა ფეხბურთელმა — თუკი ვინმეა დამნაშავე ხმაურში, პირველ რიგში მე. ძალიან ავიჭერი. ახლა ყველაფერი გაირკვა, კონტრაქტი ხანგრძლივია. მე ეჭვი მღრღნიდა, რომ კლუბს დიდად არ ვჭირდებოდი, მაგრამ ასე არ ყოფილა".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ერთ მშვენიერ დღემდე

## ადრიანო გალიანი: რა ვქნათ, თუკი ბაზარში ვართ?

**„წინათგრძნობამ** არ მიღალატა. ათი დღის წინ ვიგრძენი, რომ ოპტიმიზმს ვკარგავდი, შემდეგ კი არც მეტი, არც ნაკლები, მივხვდი — „მილანში" დარჩენა ძალიან გამიჭირდებოდა" — ეს სიტყვები არგენტინელ თავდამსხმელ ერნან კრესპოს ეკუთვნის. კრესპო კი მოგეხსენებათ, იძულებული შეიქნა „ჩელსიში" დაბრუნებულიყო. მას „მილანში" უნდოდა დარჩენა, მაგრამ არ გამოუვიდა. „მილანმა" „ინტერიდან" კრისტიან ვიერი გადაიყვანა.

„ვიერის ამბავი ძალიან მახარებს — დასძინს არგენტინელი — ბობო ჩემი ახლო მეგობარია, „ინტერში" ვეძებდი რომ ვთამაშობდით, მაშინ დავუახლოვდით. გულწრფელად ვუსურვებ შავ-წითელი მაისურით ბევრი გოლი გაეტანოს, ის ხომ დიდი თავდამსხმელი და გამორჩეული ადამიანია, მე კი... ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ მოვყვები, როგორ მეთამაშებოდა „მილანი" ორმაგ თამაშს და მაშინ ყველა ყველაფერს მიხვდება".

მაშ ასე, წყენა.... ერნან კრესპო, რომელიც იურიდიულად „ჩელსისა" ეკუთვნით, „მილანში" კი მხოლოდ გაქირავებული იყო, ლონდონში ბრუნდება. რატომ? რა მოხდა?

მოხდა ის, რომ „ჩელსის" ძალიან სჭირდებოდა უმაღლესი დონის თავდამსხმელი, მაგრამ ასეთი ვერ იშოვნა. ვიახც წაგოტინა, ყველა ისედაც დიდ გუნდში თამაშობდა, კონტრაქტი ჰქონდა და, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, არც ლონდონიდან გამოჩენილ ზედმეტ ათიოდ მილიონს დახარბდა. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ჟოზე მაურინიუ ისევ თავის კრესპოს მიუბრუნდა, კრესპოს კი, როგორც გითხარით, „მილანში" უნდოდა.




ერნან კრესპოს ახლანდელი „ჩელსი" შარშანდელზე მეტად მოსწონს

„ვწუხვარ, ასე რომ გამოვიდა — ამბობს „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი — მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ძვირფას დროს ვერ დავკარგავდი, რადგან ვიერისთან კონტრაქტი რომ არ გავეფორმებინა, მას სხვა გუნდი წაიყვანდა. იმავდროულად, აშკარა იყო, რომ კრესპოს „მილანში" დატოვების საქმე ადგილიდან არ იძვროდა, ასე ვთქვათ, კარგი პირი არ უჩანდა. ერთი სიტყვით, თავდასხმის ხაზი მქონდა დასაკომპლექტებელი".

და, რაც ძალიან საინტერესოა: „ფორმალურად მე ავიღე თავზე კრესპოს „მილანში" დატოვების პასუხისმგებლობა. ფეხბურთელს მე დავპირდი ამას და შესაბამისად, ყველაზე მეტადაც სწორედ მე მინდოდა საქმე მოგვარებულიყო, მაგრამ „ჩელსისთან" მოლაპარაკებები ძალიან რთული და მოუგვარებადი გამოდგა. ერთი სიტყვით, ის, რომ კრესპო ლონდონში ბრუნდება, ჩემი ბრალი არანაირად არ არის. სატრანსფერო ბაზარს თავისი წესები აქვს და ამ წესის მიხედვით, დროის დაკარგვა დაუშვებელია" — დასძინა გალიანიმ.

ამასობაში კი „ჩელსი" ნანს კმაყოფილი. მართალია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვერც სამეულეტოო შეიძინა და ვერც დავიდ ტრეზეგე, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ერნან კრესპო არავისზე ნაკლები არ გახლავთ. „ლურჯების" ალმასარულებელი შეფი პიტერ კენიონიც ამას ამბობს:

„გახარებული ვართ, ერნანი ისევ ჩვენთან რომ არის. მან „მილანში" ღირსეული სეზონი ჩაატარა და დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორვარდია".

ბოლოს კი ისევ არგენტინელის, ოღონდ უკვე ლონდონური კომენტარს გავეცნოთ:

„ჩემს დაბრუნებაში გადამწყვეტი როლი პიტერ კენიონმა შეასრულა. მან მითხრა, რომ ჩემი დონის თავდამსხმელი შეიძლება პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. თანაც, დღეს „ჩელსი" ის გუნდი აღარ არის, რომელიც შარშან დავტოვე. ის ყველა ასპექტით დაიხვეწა. ერთიცაა, ჩემთვის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კარგი სეზონის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია".

**პაპუნა კედია**

# რეალობა თუ ჭორი
## ამბობენ, რიო მადრიდში მიდისო




რიო ფერდინანდი შესაძლოა, მადრიდის „რეალში" გადავიდეს

**ესპანურ** და ბრიტანულ პრესაში ერთდროულად გავრცელდა ინფორმაცია, „რეალი" რიო ფერდინანდის შესაძენად ემზადებაო. როგორც ამბობენ, მადრიდელები მზად არიან, საკმაოდ დიდი თანხა გაიღონ, რომელზეც უარის თქმა „მანჩესტერს" ძალიან გაუჭირდება. თანაც „ოლდ ტრეფორდის" დატოვებაზე უკვე თავად ფეხბურთელიც ფიქრობს, რომელმაც კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მაქსიმალურად გააჯანჯლა. „სამეფო კლუბს" კი შეუძლია, 26 წლის მცველს საწადელი აუსრულოს და სასურველი ხელფასი დაუნიშნოს.

ჭორებს თუ ვენდობით, „რეალის" წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ფერდინანდის აგენტ პინი ზაჰავის და გარკვეული დეტალები შეათანხმეს. შესაძლო ტრანსფერის მოთავე კი მადრიდელთა სპორტული დირექტორი არიგო საკი ყოფილა. იგი ფერდინანდისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი, მაგრამ კონკრეტული განცხადებებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

„რიო ფერდინანდი ბრწყინვალე ფეხბურთელია და ბევრი პლუსი აქვს. მეტი არაფრის თქმა არ მინდა" — აღნიშნა საკიმ.

ამჯერად „მანჩესტერის" ხელმძღვანელებიც დუმილს ამჯობინებენ, კვირის დასაწყისში კი განაცხადეს, ფერდინანდი გუნდში რჩებაო.

აქვე ვთქვათ, რომ „წითელი უშმაკების" სამხრეთაფრიკელ ნახევარმცველ კვინტონ ფორჩუნს ვარჯიშისას მუხლის ჯვარედინი მყესები დაუზიანდა. ექიმების თქმით, იგი დაახლოებით ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

**გიორგი ძაძამაძე**




ფრანჩესკო ტოტი სასამართლომ გაამტყუნა

# ტოტი ისევ ვალებშია

**იტალიური** „რომას" ლიდერ ფრანჩესკო ტოტის ბიუჯეტი მალე 2,14 მილიონი ევროთი შემცირდება. საქმე ისაა, რომ 2001 წელს მან თავის ყოფილ აგენტ ფრანკო ძავალიასთან მუშაობა შეწყვიტა, რაც დედაქალაქელთა კაპიტანს კონტრაქტის პირობების დარღვევით გაუკეთებია. საარბიტრაჟო სასამართლომ ეს ოთხი წლის შემდეგ დაადგინა და სულ ცოტა ხნის წინ ტოტის ზემოთ ხსენებული თანხის გადახდა დააკისრა.

2001 წლის მაისში ტოტიმ „რომასთან" ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, იმ დროს კი მისი აგენტი ჯერ კიდევ ძავალია იყო. ცოტა ხანში ფეხბურთელმა მასთან მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა, რადგანაც „გლადიატორებთან" გაფორმებული შეთანხმების პირობებით იყო უკმაყოფილო და ამაში სწორედ ძავალიას ადანაშაულებდა. აგენტი კი თავის მხრივ კუთვნილ 5 პროცენტს ითხოვდა, რაზეც ტოტიმ უარი განაცხადა. ამის შემდეგ საქმე სასამართლოში გაირჩა.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ ამ ინციდენტამდე ტოტი და ძავალია ერთად 10 წლის მანძილზე მუშაობდნენ და მშვენიერი ურთიერთობაც ჰქონდათ.

**გიორგი ძაძამაძე**



ჩუჩი კოსო, დმიტრი პიტერმანი და რაფა მონფორტე

# ალავესის კომფორტი მონფორტი
## კოსო გაკონსულტანტდა

**პრიმერადივიზიონში** დაბრუნებულმა „ალავესმა" მწვრთნელი შეიცვალა — ჩუჩი კოსოს ადგილი ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა რაფა მონფორტემ დაიკავა, ხოლო კოსო კონსულტანტად დანიშნეს.

„შემოთავაზებულ წინადადებას უმალ დავთანხმდი, რადგან მეტად საინტერესო საქმე მელის — თქვა მონფორტემ — მე ვაპირებ პროფესიონალ მწვრთნელთა ჯგუფის შექმნას, რომელიც შეხმატკბილებულად იმუშავებს და ფეხბურთელებს ახალი სეზონისთვის საუკეთესოდ მოამზადებს".

2001 წლის უეფას თასის ფინალისტი „ალავესი" პრიმერადივიზიონიდან 2003-ში გავარდა. შარშან ზაფხულს კლუბს უკრაინაში დაბადებული ამერიკელი ბიზნესმენი დმიტრი პიტერმანი დაეპატრონა, ფული არ დაიშურა და ჩუჩი კოსოს „თამადობით" გუნდი ელიტაში დააბრუნა.

პიტერმანმა „ალავესში" წვრთნის ახალი, ამერიკული მეთოდები დაამკვიდრა. სამწვრთნელო შტაბში მთავარი მწვრთნელის გარდა კიდევ რამდენიმე კაცი მუშაობს და ყველას ცალ-ცალკე, თავ-თავისი საქმე აბარია.

შეგახსენებთ, რომ „ალავესამდე" დმიტრი პიტერმანი სანტანდერის „რასინგს" პატრონობდა, მანამდე კი „პალამოსს". ამერიკელმა მილიონერმა „რასინგის" სრულად ხელში ჩაგდება მოისურვა, მაგრამ საკონტროლო აქციათა პაკეტი არ მიჰყიდეს. გარდა ამისა, გუნდში მწვრთნელიც თავად იყო და ერთხელ ფოტოგრაფობაც იკისრა.

„ალავესი" პრიმერადივიზიონიდან ჩაქვეითებას აღარ აპირებს და გაძლიერებას ეშურება. ბასკურმა კლუბმა უკვე გადაიბირა 34 წლის მაურისიო პელეგრინო, რომელსაც „ლივერპულთან" ექვსთვიანი კონტრაქტი დაუსრულდა, გუშინწინ კი „ბელენენსეშის" გაბონელი ფორვარდი ანშოე არნოც დაიმატა. აღსანიშნავია, რომ „ალავესმა" ამ ზაფხულს ათი ფეხბურთელი „მოიმარაგა".

**გაგა ხუციშვილი**

# თურქის კაჭკაჭური ინტერესი
## ტოლდო ისევ პირველი ნომერია

*მილანის „ინტერის" თურქი ლეგიონერი ემრე ბელოზოღლუ მომავალ სეზონს სავარაუდოდ, „ნიუკასლის" რიგებში დაიწყებს. 24 წლის ნახევარმცველით პრემიერლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ „სენტ ჯეიმს პარკის" ბინადრები აქტიურობენ. „კაჭკაჭებმა" რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ ფეხბურთელთან შეთანხმებას მიაღწიეს და ახლა „ნეროაძურის" პასუხს ელოდებიან*

**„ემრესთან** უკვე ბევრი დეტალი შევათანხმეთ და კონტრაქტიც მზად გვაქვს. ახლა „ინტერს" ველოდებით. იმედია, ზედმეტი პრობლემები არ შეიქმნება, რადგანაც მილანელები აქამდე ამ ტრანსფერის წინააღმდეგნი არ ყოფილან" — განაცხადა „ნიუკასლის" მმართველმა ფრედი შეპარდმა.

გავრცელებული ცნობით, იტალიელები 4 მილიონ გირვანქას ითხოვენ, „ჯორდები" კი შედარებით ნაკლები თანხის გადახდაზე არიან ყაბულს.

ამასობაში, „შავ-ლურჯების" ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ კლუბი ახალ მეკარეს აღარ ეძებს და „ინტერის" კარის დარაჯი ახალ სეზონშიც ფრანჩესკო ტოლდო იქნება.

„ფრანჩესკო მომავალ სეზონშიც გუნდის ძირითადი გოლკიპერი იქნება. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. გასულ ჩემპიონატში, როდესაც ბევრ გოლს ვუშვებდით, ეგებ გვეჩვენებოდა, რომ ეს მისი ბრალი იყო, მაგრამ ბოლო თვეებში რომ დაახლოებით ისევე ცოტა ბურთი გადიოდა ჩვენს კარში, როგორც „იუვენტუსისა" და „მილანისაში", ნამდვილად ტოლდოს დამსახურებაა. უბრალოდ, გუნდში ყველა რგოლი დაბალანსებული უნდა იყოს, რათა კარის დარაჯი თავს უფრო დაცულად გრძნობდეს" — თქვა „ინტერის" პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ.




ფრანჩესკო ტოლდოს „ინტერში" კონკურენტი არ ჰყავს

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში რობერტო მანჩინი ტოლდოს ხშირად სვამდა სათადარიგოთა სკამზე და ამით უკმაყოფილო ვეტერანი გუნდის გამოცვლაზე და საერთოდ ფეხბურთიდან წასვლაზეც კი ფიქრობდა. ვარაუდობდნენ, რომ მილანური კლუბი კონტრაქტს კვლავ სებასტიან ფრეისთან გააფორმებდა და იგი ძირითად მეკარედ იქცეოდა, ხოლო ტოლდო „ფიორენტინას" დაუბრუნდებოდა, თუმც ფლორენციელთა რიგებში სწორედ ფრეი გადაბარგდა.

**გიორგი ძაძამაძე**

# მოჯიმ ვიეირას ლონდონში ჩააკითხა

**„იუვენტუსი"** კვლავ პატრიკ ვიეირის უტრიალებს. ოთხშაბათს, „ბებერი ქალბატონის" გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი ლონდონში იმყოფებოდა და, გავრცელებული ცნობით, „არსენალის" ხელმძღვანელობასაც შეხვდა.

როგორც ამბობენ, „მეთოფეები" ვიეირაში დაახლოებით 15 მილიონ გირვანქას ითხოვენ, „იუვენტუსი" კი გაცილებით ნაკლები თანხის გადახდაზე და ერთი ფეხბურთელის დამატებაზე ყაბულს სავარაუდოდ, მოჯი ლონდონელებს ფულთან ერთად ალესიო ტაკინარდის, იგორ ტუდორის ან სტეფან აპიას სთავაზობს.



პატრიკ ვიეირა

თუ ეს ტრანსფერი შედგა, გამორიცხული არ არის, „დელე ალპი" ემერსონმა დატოვოს. ბრაზილიელს ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ვიეირასთან ჭიდილი ან პოზიციის შეცვლა მოუწევს. თუმც შეზღუდული ბიუჯეტის მქონე ტურინელები ალბათ ამჯობინებენ იგი „რეალს" მიჰყიდონ. აქვე გავიხსენოთ, რომ ვიეირასა და ფაბიო კაპელოს ერთად მუშაობის გამოცდილება „მილანში" ყოფნისასაც აქვთ.

პარალელურად ბრიტანულ-იტალიური ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, რომ მოჯი მეორე ლონდონური კლუბის, „ჩელსის" უფროსობასაც ესაუბრა. საქმე დავიდ ტრეზეგეს ეხება, რომელშიც რომან აბრამოვიჩი 37 მილიონ ევროს იხდის. ამბობენ, რომ თუ „იუვენტუსი" შეძლებს და ინგლისელებს ცოტა უფრო მეტ ფულს დასცინცლავს, ევებ ფრანგი ფორვარდის გაყიდვას დათანხმდეს და შემდეგ ამ თანხის გარკვეული ნაწილი ანტონიო კასანოს ან ალბერტო ჯილარდინოს შესაძენად გამოიყენოს.

**გიორგი ქაქაბაძე**



სეზონი დაწყებული არაა და „სოშოს" მწვრთნელი გი ლაკომბი უკვე გაუშვეს

# დასასრული დასაწყისში
## უნახავმა რა ნახა?

**სეზონისწინა** შეკრების დაწყებიდან ერთ კვირაში „სოშოს" მწვრთნელი გი ლაკომბი უმუშევარი დარჩა. მას ჯერ კიდევ მაისის ბოლოს სურდა წასვლა, რადგან „ლიონი" და „ოსერი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ 1984 წლის ევროპის ჩემპიონმა ახალი გუნდი ვერ მონახა.

„სოშომ" გი ლაკომბთან კონტრაქტი გაწყვიტა — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში — ჩვენ რამდენიმე დღეში მასთან კომპენსაციის თაობაზე ვისაუბრებთ".

მწვრთნელს ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, რომელიც მომავალ ზაფხულს უმთავრდებოდა და ვადაზე ადრე სამუშაოდან დათხოვნის გამო დაახლოებით 325 ათას ევროს მიიღებს.

გი ლაკომბის სავარაუდო შემცვლელი „აიაჩოს" ყოფილი თავკაცი დომინიკ ბიჟოტა გახლავთ, რომელიც ამჟამად მესამე დივიზიონის „კლერმონშია".

სოშოელთა ახალწვეული ფლანგის ბრუნელი კი გუნდში შექმნილმა ვითარებამ გააოცა: „მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მენახა. შეკრება ლაკომბთან ერთად დავიწყეთ არადა, ყველამ იცოდა, რომ მას მოხსნიდნენ, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობდა. მახსოვს, „მონაკოში" ვიყავი ექვსი თვით და ამ ხნის განმავლობაში იქ მწვრთნელი სამჯერ გამოიცვალეს. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთში ყველაფერი ვნახე".

**ვაჟა ხუციშვილი**

*უელსის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავი კრეიგ ბელამი კვლავ მომავალ კლუბს ეძებს. მოგეხსენებათ, „ნიუკასლის" თავკაცი გრემ სუნესი მის გუნდში დაბრუნებას არ აპირებს და „კაჭკაჭებიც" ცდილობენ, იგი რაც შეიძლება სარფიანად გაყიდონ*

# ჰიუზმა ბელამი შეაბა



კრეიგ ბელამი
ინგლისურ პრემიერლიგაში ბრუნდება

**მოგეხსენებათ,** გასული სეზონის დიდი ნაწილი ბელამიმ „სელტიკში" გაატარა და ჩინებული შთაბეჭდილებაც დატოვა. გლაზგოელებს ძალიან სურდათ მისი შენარჩუნება და, სხვა კლუბებისგან განსხვავებით, პირველი სიტყვის უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო „ნიუკასლი" ვერ დააინტერესეს.

ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კრეიგ ბელამი „ბლექბერნის" მაისურას მოირგებს. იგი ამჟამად სამედიცინო შემოწმებას გადის და კლუბის უფროსობასთან კონტრაქტის პირობებს ათანხმებს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, მხარეები უახლოეს დღეებში ტრანსფერს ოფიციალურად გააფორმებენ.

ბელამის შეძენა ასევე ძალიან სურთ „ასტონ ვილას", „ბირმინგემსა" და „ევერტონს", მაგრამ მათზე დიდი შანსი ჯერჯერობით „ბლექბერნს" აქვს, რომელმაც თითქმის მიაღწია საწადელს. ამის მთავარი მიზეზი კი მარკ ჰიუზია, რომელიც „იუდ პარკზე" გადაბარგებამდე უელსის ნაკრებს წვრთნიდა და ბელამისთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ვუნდერკინდი
## პელეს მეორედ მოსვლა

**ასე უწოდა** ბრაზილიურმა პრესამ 9 წლის ჟან კარლოსს შერას, რომელიც ბურთით ისე ჟადოქრობს, მნახველებს პირღია ტოვებს. „ახალ პელედ" მრავალი ბრაზილიელი მოუნათლავთ, მაგრამ ვისაც ბურთთან შერას ურთიერთობა უნახავს, ყველა ამბობს, რომ ეს ბავშვი სასწაულია.

ჟან კარლოსს, როგორც დიდ ფეხბურთელებს ეკადრებათ, უკვე აქვს მეტსახელი — ანდერსონი. პარანას შტატის „ადაპ"-ის გუნდის მოთამაშე მისი ასაკისთვის წარმოუდგენელ რაღაც-რაღაცებს აკეთებს. შეუძლია, ცენტრიდან გაიტანოს გოლი, ან ვან ბასტენივით უმახვილესი კუთხიდან ბურთი ბადეში შეჭედოს. ანდერსონი ოთხი წლით უფროსებს ისე აბითურებს, მცველები კისერზე ეცემიან.



ადილსონ ბატისტა შეიძლება
მალე პოპულარული გახდეს

ეს ყველაფერი ვინმეს ზღაპრად არ მოეჩვენოს, იფიქრა გუნდის პრეზიდენტმა ადილსონ ბატისტამ და ვებ-გვერდზე ჟან კარლოსის სასწაულების ვიდეოჩანაწერი განათავსა — ვისაც არ სჯერათ, დარწმუნდითო. თან ეს ჩანაწერი იმ დროსაა გადაღებული, როცა ფენომენი ექვსი წლისა იყო. ამ ასაკშიც კი საოცრებებს აკეთებდა და მასზე თქვეს, ფეხბურთის თამაში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე სიარულს ისწავლიდაო.

„მსგავსი რამ არსად, არასოდეს მინახავს — ჩაროს ბატისტა — ბიჭის თამაში ნებისმიერ ადამიანს ნუსხავს. მგონია, რომ ყველა დროის საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი იზრდება".

„ადაპ"-ის პრეზიდენტი შიშობს, რომ შესაძლოა, ზედმეტმა ყურადღებამ ანდერსონს ავნოს და ამიტომ ყოველმხრივ უფრთხილდება. ფენომენია, მაგრამ ბავშვობა უნდა იგრძნოსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ოლსენის კარნახით
## ჰელვეგი ცენტრში იქნება

**დანიის** ნაკრების მცველი თომას ჰელვეგი მორტენ ოლსენის რჩევით „ნორვიჩს" დასცილდა და მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გადავიდა.

მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „ნორვიჩი" პრემიერლიგიდან ჩაქვეითდა, ნაკრების მწვრთნელმა ოლსენმა კი ჰელვეგს უთხრა, ეროვნულ გუნდში თამაში თუ გსურს, უკეთეს კლუბში უნდა გადახვიდეო.

34 წლის ჰელვეგი ნორვიჩელებმა 200 ათასი ევროს სანაცვლოდ დათმეს, „ბორუსიამ" კი მაღალი კლასის ცენტრალური მცველი შეიძინა. გუნდს სწორედ ამ პოზიციაზე აკლდა კარგი ფეხბურთელი და ეს პრობლემა მოაგვარა — თომას ჰელვეგმა მიონხენგლადბახელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მას ძალიან დიდი სანაკრებო გამოცდილება აქვს და დაცვაში ნებისმიერ ადგილზე თამაში შეუძლია. ძალიან გაგვიხარდა, რომ ჩვენთან გადმოსვლაზე დაგვთანხმდა" — განაცხადა „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა პეტერ პანდერმა.

„ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე — თქვა დანიელმა — აქ ყველაფერი დიდებულია, პირდაპირ მოხიბლული ვარ. მორტენ ოლსენს დავეკითხე და სწორედ მან მირჩია ბუნდესლიგაში გადასვლა. დავუჯერე და, მგონი, არ შევმცდარვარ. კარიერის დასრულებას ჯერჯერობით არ ვაპირებ და ორწლიან კონტრაქტზე ამიტომაც დავყაბულდი".



თომას ჰელვეგი

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფაბიო კაპელო: ჩაომდე გაჩუქებთ ლიგას



*თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელ „იუვენტუსში“ ფაბიო კაპელო მხოლოდ გუნდის მწვრთნელი კი არა, კლუბის სატრანსფერო საქმეთა გამგებელიცაა. მის დაუკითხავად „ბებერი ქალბატონის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი ფეხბურთელს ვერც იყიდის და ვერც გაყიდის. ამის დასტურად შარშანდელი საზაფხულო ტრანსფერებიც გამოდგება — ტურინელებმა ის მოთამაშეები შეიძინეს, რომლებიც დონ კაპელომ ისურვა. რა გამოვიდა ამ საქმიდან, ვფიქრობთ, კარგად იცით — კაპელომ თავის პირველ ტურინულ სეზონში „იუვენტუსს“ სკუდეტო მოაგებინა. ქვემორე ინტერვიუში „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი გასულ საჩემპიონო სეზონზე, სატრანსფერო საქმეებსა და კლუბის მომავალზე საუბრობს*

**— „იუვენტუსმა“ თქვენი თავკაცობით სერია A-ში იმარჯვა. რამდენად შეიცვლება გუნდის შემადგენლობა ახალი სეზონისთვის?**

— როცა გუნდი სკუდეტოს იგებს, ესე იგი, მისი შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ, ამავე დროს, წინსვლისთვისა და ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად ახალი ფეხბურთელების შემატება აუცილებელია. ეს ახალი მოთამაშეები კი თავისი შესაძლებლობებით ათი პროცენტით უნდა აღემატებოდნენ ძველებს. ასეთების მოძებნა იოლი საქმე არაა, რადგან უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ცოტაა და თუ არის, სხვა კლუბებში თამაშობენ. მათი დათმობა კი არავის სურს.

**— ერთი წელია, რაც „იუვენტუსს“ წვრთნით და უკვე სკუდეტო მოიგეთ. იმ ფეხბურთელებმაც საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავი, რომლებიც შარშან შეიძინეთ. მაგალითად, ფაბიო კანავარომ, ის ხომ „ინტერში“ არაფრით გამოირჩეოდა. რატომ გადაწყვიტეთ მისი ყიდვა?**

— შარშან, მაისში კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად მაგიდას მივუსხედით და გუნდის გაძლიერების გეგმა დავსახეთ. ჩემი უპირველესი მოთხოვნა გამოცდილი და საიმედო მცველის ყიდვა იყო, რადგან „იუვეს“ ყველაზე მეტად სწორედ დაცვაში უჭირდა. ამ პრობლემის მოუგვარებლობის გარეშე სკუდეტოზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. კლუბის თავკაცები დამეთანხმნენ. მე მათ სამი მცველის გვარი ჩამოვუწერე. სიას ფაბიო კანავარო პირველობდა. გააზრებული მუშაობის მერე „ინტერის“ მცველი გადმოვიბირეთ და როგორც გამოჩნდა, არ შევმცდარვართ. ასე რომ, თავიდანვე უნდა იცოდე, რომელი ფეხბურთელი რისთვის გჭირდება და მერე უნდა იმოქმედო. შედეგიც არ დაგვიანებს.

**— სეზონის დაწყებას არაფერი უკლდა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი რომ შეიძინეთ. რატომ მაინცდამაინც იბრაჰიმოვიჩი?**

— კარგა ხანს ვაკვირდებოდი ამ ფეხბურთელს და მისი საუკეთესო თვისებები კარგად ვიცოდი. მე სწორედ ზლატანის მონაცემების ფორვარდი მჭირდებოდა. იბრაჰიმოვიჩმა, ბრწყინვალედ ითამაშა და გამოგიტყდებით, მეც კი გამაოცა. პირველივე იტალიურ სეზონში 16 გოლი შესაშური შედეგია. გარდა ბომბარდირობისა, ზლატანმა ბევრ მატჩში გამთამაშებლობაც იკისრა და იქით ამარაგებდა პასებით თავდამსხმელებს. სწორედ ასეთი ფეხბურთელები სჭირდება „იუვენტუსს“.

**— „რომადან“ ტურინში ბრაზილიელი ემერსონი წამოიყვანეთ. მის გარეშე „ბებერი სინიორა“ ახლა მართლაც წარმოუდგენელია. მეთანხმებით?**

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ემერსონი თავის ამპლუაში მსოფლიოში საუკეთესოა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ მისი „იუვენტუსიდან“ წასვლაზე, მე კი გეტყვით, რომ ემერსონი ტურინში რჩება. ის გუნდის საკვანძო ფეხბურთელია და მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მაგალითად, ემერსონი რომ დაშავდეს, გუნდში მისი სრულფასოვანი შემცვლელი უნდა გვყავდეს, ამიტომ ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ.

**— მომავალ სეზონში რომელი ტურნირის მოგებას ანიჭებთ უპირატესობას — იტალიის ჩემპიონატისა თუ ჩემპიონთა ლიგისა?**

— უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. შევძლებთ თუ არა ამ ტურნირის მოგებას, წლევანდელი სატრანსფერო კამპანიის დასრულების მერე გეტყვით. თუმც მხოლოდ ახალი ფეხბურთელების შემატება არ განაპირობებს წარმატებას. დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, არ გაგიკვირდეთ და, იღბალს. აქვე გავიხსენოთ, რომ გასულ სეზონში ბევრი მატჩი ჩავატარეთ ლიდერების — ნედვედი, ტრეზეგე, ემერსონი — გარეშე, მაგრამ გუნდში იყო ის რეზერვი, რომლის წყალობითაც სკუდეტო მოვიგეთ. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება თუ გვინდა, ასეთი რეზერვი უმაღლესი კლასისა უნდა იყოს.

**— ახალწვეულების გარდა კიდევ ვის გამოარჩევდით?**

— მეკარე ბუფონს, ლილიან ტურამსა და მაურო კამორანეზის. ბუფონმა რამდენიმე მატჩში გუნდი მარცხისგან იხსნა. ტურამი დაცვის ცენტრში შევწიე და მან კანავაროსთან ერთად დაცვა შეადუღაბა. კამორანეზიმ კი მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე და სტაბილურად ჩაატარა.

**— კაპიტან ალესანდრო დელ პიეროზე რას გვეტყვით, ის უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა...**

— ალესანდრო ნამდვილი პროფესიონალი და გუნდის ყოჩია. მგონია, რომ მადლობას მეტყვის, მისი ძალა და გამოცდილება სეზონის ბოლოსთვის რომ შემოვინახე. მართალია, ხშირად ვცვლიდი და ხშირად სათადარიგოებშიც მყავდა, მაგრამ ამას გუნდის ინტერესებისთვის ვაკეთებდი. ჩემთვის კი მთავარი „იუვეს“ წარმატებაა, ამისთვის ვარ აქ და სწორედ ამისთვის მიხდიან ფულს. მართალია, ჩვენ გვჭირდება ვარსკვლავები და უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, ისინი გუნდისთვის თამაშობენ. ყველამ უნდა ვიგრძნოთ თავი „იუვენტუსის“ ნაწილად. სხვათა შორის, „იუვენტუსი“ იმიტომ ავირჩიე, რომ აქ მთავარი სწორედ გუნდური სულია.

**— თუ საიდუმლო არ არის, ტურინში გადმოსვლამდე კიდევ რომელი კლუბები გეპატიჟებოდნენ?**

— „ინტერი“, „რეალი“, „ტოტენჰემი“, მაგრამ მე „იუვენტუსი“ ვარჩიე და ერთი წლის მერე არც ვნანობ.

**— „ბებერ ქალბატონთან“ სამწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ, აპირებთ მის გახანგრძლივებას?**

— ჯერ ამაზე არ მიფიქრია. საერთოდ კი, უარს არ ვიტყოდი უცხოეთში მუშაობაზე. მაგრამ „იუვენტუსიდან“ წასვლამდე მსურს ტურინს საჩუქრად ჩემპიონთა თასი დავუტოვო.

Copa Toyota Libertadores 2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**ფინალი. პირველი მატჩი**

**ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) 1:1 სან პაულუ (ბრაზილია)**

1:0 ალოიზიო (14), 1:1 დურვალი (53ს.კ.)

**ატლეტიკო პარანენსე:** დიეგო, ჟანკარლოსი (ანდრე როჩა 83), დანილო, დურვალი, მარკაუ, ხოსიტო, ალან ბაია, ფაბრისიო, ფერნანდინიო (ევანდრო 66), ლიმა, ალოიზიო

**მწვრთნელი:** ანტონიო ლოპესი

**სან პაულუ:** როჟერიო სენი, ფაბაუ, ლუგანო, ალექსი, სისინიო, ხოსუე, მინეირო, დანილუ, ჟუნიორი, ლუიზაო, ამოროზო

**მწვრთნელი:** პაულო აუტორი

გაფრთხილება: მარკაუ, ლუგანო, ლუიზაო, ჟანკარლოსი, ფაბაუ

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

50 000 მაყურებელი

## სანპაულუური მადლობა კონმებოლს და დურვალს

**თქვენ მტერს,** ატლეტიკოელ დურვალს წყევლა-კრულვა რომ ერგო თავისივე გულშემატკივრებისგან, ლიბერტადორესის თასის პირველი ფინალური მატჩისას...

შეჯიბრის ისტორიაში ეს პირველი, ორმხრივ ბრაზილიური ფინალი იყო. პირველი მატჩის მასპინძელი „ატლეტიკო პარანენსე“ გახლდათ, თუმცა მისი მასპინძლობა პირობითი იყო — კონმებოლმა (უეფას სამხრეთამერიკულმა ანალოგმა) ამ გუნდის მშობლიური სტადიონი „კიოსერა“ ფინალისთვის უვარგისად ჩათვალა, მცირე ტევადობის გამო და თამაში პორტუ ალეგრეს „ბეირა რიოზე“ გაიმართა.

პირობით მასპინძლებს ანგარიშის გასახსნელად დიდი დრო არ დასჭირვებიათ: მე-14 წუთზე ჟანკარლოსის ჩაწოდებულს ალოიზიო მეკარის ბაქანთან დაუხვდა და როჟერიო სენის დაბალ კუთხეში შეუგდო.

ამის მერე თანაბარი თამაში გახურდა და ორივე კართან მომენტებიც საკმარისად იყო. ხოლო თავშივე რომ ვახსენეთ, დურვალს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ-თქო, ეგ ამბავი 53-ე წუთიდან დაიწყო, როცა მან საკუთარ კარში გაიტანა და ამით „სან პაულუს“ საქმე გააკეთა.

ასე მოხდა: უბრალო სიტუაციაში „ატლეტიკოს“ მეკარე დიეგოს თანაგუნდელმა ბურთი თავით დაუბრუნა და ასაღებადაც იოლი გახლდათ, მაგრამ მეკარემდე სანამ მივიდოდა, ბურთი ნახსენებ დურვალს მოხვდა, მიმართულება იცვალა და ბადეში აღმოჩნდა.

საპასუხო მატჩი იქეთა ხუთშაბათს, სან პაულუს „მორუმბიზე“ გაიმართება და იქაურებს ლიბერტადორესის თასის მესამედ მოგების რიგიანი შანსიც აქვთ.

**კოტე კეკელია**



AFP

მასპინძლები ალოიზიოს (№9) გოლით დაწინაურდნენ

## შვედეთი

**ალსვენსკა. XIII ტური**

**გეფლე 0:2 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:14 | 26 |
| გიოტებორგი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:9 | 23 |
| მალმიო | 13 | 7 | 2 | 4 | 15:12 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:19 | 23 |
| კალმარი | 13 | 6 | 4 | 3 | 12:8 | 22 |
| ელფსბორგი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:18 | 21 |
| ჰეკენი | 13 | 6 | 1 | 6 | 21:16 | 19 |
| ჰალმსტადი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| ჰამარბი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:15 | 18 |
| იორგრიტე | 13 | 4 | 2 | 7 | 16:21 | 14 |
| გეფლე | 13 | 4 | 1 | 8 | 10:18 | 13 |
| ლანდსკრონა | 13 | 3 | 4 | 6 | 14:25 | 13 |
| ასირისკა | 13 | 3 | 1 | 9 | 10:16 | 10 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 1 | 8 | 13:21 | 10 |

## კონკაკაფის ოქროს თასი 2005

**A ჯგუფი**

**პირველი ტური**

**კოლუმბია 0:1 პანამა**

0:1 ტეხადა (70)

**ტრინიდადი 1:1 ჰონდურასი**

1:0 ბირჩალი (27), 1:1 მ. ფიგეროა (43)

## აშშ

**მეიჯორ სოკერ ლიგა**

**გადადებული მატჩები**

კოლორადო — კანზასი 2:1; სოლტ ლეიკი — ნიუ იორკი 2:2; ლოს ანჯელესი — ნიუ ინგლენდი 1:1

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

# ფული და წილი

## რა კარგია ჩემპიონთა ლიგაში



**როგორი** იყო გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგა? თუ მისი ფინალის მიხედვით ვიმსჯელებთ, დიდებული. თუმცა, რატომ მხოლოდ ფინალის მიხედვით? ვფიქრობთ, საუცხოო ფინალს წინ ბევრი საუცხოო მატჩიც უძღოდა. მოკლედ, შეჯიბრება ბრწყინვალე გამოვიდა და როგორც უეფას ოფიციალური ბიულეტენიდან ვიგებთ არანაკლები ჰქონდა კომერციული მხარეც.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილი 32 გუნდისთვის შემოსავალი სამი ტიპისა გახლდათ. პირველი იყო გარანტირებული თანხა მონაწილეობისათვის, მეორე, თანხა რომელიც თითოეულ მონაწილეს თამაშის მიხედვით მიეცა და მესამე კომერციულ-მარკეტინგული.

პირველი და გარანტირებული ორნაწილიანი იყო, რასაც ცხრილშიც ხედავთ. სასტარტო და 2 500 000 თითოეული მატჩისთვის ანუ ჯამში 3 მილიონი.

მეორე ტიპის პრემიები გახლდათ: მოგებისთვის 500 000 და ფრისთვის 250 000. პლეი-ოფის ეტაპისთვის გამოყოფილ-განაწილებული ფულიც ცხრილშია ნაჩვენები.

მესამე ტიპი კი ქვეყნის სატელევიზიო ბაზრიდანაა მიღებული, თუმცა ერთი და იმავე ქვეყნის კლუბებს შორის თანხები მაინც არა თანაბრად, ეროვნული ჩემპიონატის ცხრილის მიხედვით განაწილდა.

თანხები შვეიცარიულ ფრანკებშია მოცემული. ერთი შვეიცარიული ფრანკი 1.4 ლარია.

**პაპუნა ძიძია**

| გუნდები | საწყისი პრემია | მონაწილეობა | სათამაშო პრემია | მარკეტინგი | მერვედფინალში | მეოთხედფინალში | ნახევარფინალში | ფინალში | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | | | | |
| ოლიმპიაკოსი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 4 114 000 | | | | | 11 364 000 |
| ლივერპული | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 20 417 000 | 2 500 000 | 3 000 000 | 4 000 000 | 10 000 000 | 47 167 000 |
| მონაკო | 2 500 000 | 3 000 000 | 2 000 000 | 11 174 000 | 2 500 000 | | | | 21 174 000 |
| დეპორტივო | 2 500 000 | 3 000 000 | 500 000 | 9 258 000 | | | | | 15 258 000 |
| **B ჯგუფი** | | | | | | | | | |
| დინამოკიევი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 288 000 | | | | | 7 538 000 |
| ლევერკუზენი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 000 000 | 10 758 000 | 2 500 000 | | | | 20 758 000 |
| რეალი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 000 000 | 11 073 000 | 2 500 000 | | | | 21 073 000 |
| რომა | 2 500 000 | 3 000 000 | 250 000 | 10 535 000 | | | | | 16 285 000 |
| **C ჯგუფი** | | | | | | | | | |
| ბაიერნი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 15 566 000 | 2 500 000 | 3 000 000 | | | 28 316 000 |
| აიაქსი | 2 500 000 | 3 000 000 | 750 000 | 5 829 000 | | | | | 12 079 000 |
| იუვენტუსი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 750 000 | 9 434 000 | 2 500 000 | 3 000 000 | | | 23 184 000 |
| მაკაბი | 2 500 000 | 3 000 000 | 750 000 | 1 132 000 | | | | | 7 382 000 |
| **D ჯგუფი** | | | | | | | | | |
| მანჩესტერი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 000 000 | 15 086 000 | 2 500 000 | | | | 25 086 000 |
| ფენერბაჩე | 2 500 000 | 3 000 000 | 1 500 000 | 5 760 000 | | | | | 12 760 000 |
| სპარტა | 2 500 000 | 3 000 000 | 250 000 | 175 000 | | | | | 5 925 000 |
| ლიონი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 250 000 | 18 158 000 | 2 500 000 | 3 000 000 | | | 31 408 000 |
| **E ჯგუფი** | | | | | | | | | |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 7 368 000 | 2 500 000 | 3 000 000 | 4 000 000 | | 24 118 000 |
| პანათინაიკოსი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 4 547 000 | | | | | 11 797 000 |
| რუსენბორგი | 2 500 000 | 3 000 000 | 500 000 | 3 492 000 | | | | | 9 492 000 |
| არსენალი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 000 000 | 26 014 000 | 2 500 000 | | | | 36 014 000 |
| **F ჯგუფი** | | | | | | | | | |
| ბარსელონა | 2 500 000 | 3 000 000 | 1 750 000 | 14 886 000 | 2 500 000 | | | | 24 636 000 |
| შახტარი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 000 000 | 260 000 | | | | | 6 760 000 |
| მილანი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 250 000 | 17 022 000 | 2 500 000 | 3 000 000 | 4 000 000 | 6 000 000 | 40 272 000 |
| სელტიკი | 2 500 000 | 3 000 000 | 1 000 000 | 9 174 000 | | | | | 16 214 000 |
| **G ჯგუფი** | | | | | | | | | |
| ვერდერი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 250 000 | 16 055 000 | 2 500 000 | | | | 26 305 000 |
| ვალენსია | 2 500 000 | 3 000 000 | 1 250 000 | 15 612 000 | | | | | 22 362 000 |
| ანდერლეხტი | 2 500 000 | 3 000 000 | ----- | 3 446 000 | | | | | 8 946 000 |
| ინტერი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 500 000 | 9 434 000 | 2 500 000 | 3 000 000 | | | 22 934 000 |
| **H ჯგუფი** | | | | | | | | | |
| ცსკა | 2 500 000 | 3 000 000 | 1 250 000 | 1 996 000 | | | | | 8 746 000 |
| პსჟ | 2 500 000 | 3 000 000 | 1 000 000 | 12 571 000 | | | | | 19 071 000 |
| ჩელსი | 2 500 000 | 3 000 000 | 2 250 000 | 25 908 000 | 2 500 000 | 3 000 000 | 4 000 000 | | 43 158 000 |
| პორტუ | 2 500 000 | 3 000 000 | 1 500 000 | 2 918 000 | 2 500 000 | | | | 12 418 000 |

**თანხები მოცემულია შვეიცარიულ ფრანკებში**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 1 | ლინცერი-კაფენბერგი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:00 | 2 | ლეობენი-ავსტრია(ლ) | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 21:00 | 3 | შვანენშტადტი-კერნტენი | 3.10 | 3.00 | 2.00 | 1.52 | 1.21 | 1.20 |
| 21:00 | 4 | ავსტრია(მ)-გრატკორნი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 5 | ალტახი-კუფშტაინი | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 6 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 15:00 | 7 | როსტოვი-ზენიტი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 15:00 | 8 | ამქარი-ტორპედო | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |
| 15:00 | 9 | ალანია-ცსკა | 4.80 | 4.00 | 1.50 | 2.18 | 1.14 | 1.09 |
| 15:00 | 10 | მოსკოვი-სატურნი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 15:00 | 11 | რუბინი-შინიკი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 15:00 | 12 | ტერეკი-ტომსკი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 13 | დინამო-კრილია | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 15 | ჰოდდი-ფოლლო | 1.80 | 3.70 | 3.60 | 1.21 | 1.20 | 1.82 |
| 20:00 | 16 | მანდალი-სოგნდალი | 2.15 | 3.70 | 2.60 | 1.35 | 1.17 | 1.52 |
| 20:00 | 17 | პორს გრენლანდი-სტაბეკი | 3.10 | 3.70 | 1.90 | 1.68 | 1.17 | 1.25 |
| 20:00 | 18 | ლიოვ ჰამი-ალტა | 2.30 | 4.00 | 2.40 | 1.46 | 1.17 | 1.50 |
| 20:00 | 19 | ბრინი-ჰაუგესუნი | 1.65 | 4.00 | 3.90 | 1.16 | 1.15 | 1.97 |
| 20:00 | 20 | კონგსვინგერი-ტონსბერგი | 2.00 | 3.70 | 3.00 | 1.29 | 1.20 | 1.65 |
| 20:00 | 21 | სანდეფიორდი-მოსი | 1.75 | 3.70 | 3.80 | 1.18 | 1.19 | 1.87 |
| 20:00 | 22 | სკეიდი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 3.70 | 1.95 | 1.65 | 1.18 | 1.27 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 27 | სუნდსვალი-იურგორდენი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 31 | ლიუნგსკილე-ატვიდაბერგი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 32 | დეგერფორსი-ოსტერსი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 33 | ბოდენსი-ფრიოლუნდა | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 34 | ბრომაპოიკარნა-გაის | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 35 | მიალბი-ორებრო | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 19:00 | 36 | ტრელებორგი-აიკ | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 37 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 21:00 | 38 | ვესბი-ვესტეროსი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 40 | მიუპა-კტპ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 41 | ჰიკ-ლაჰტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:00 | 42 | როვანიემი-იარო | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 43 | მარიეჰამნი-ტურკუ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 44 | კუოპიო-ტპ 47 | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 47 | ჰაფნარფიორდური-კეფლავიკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 46 | ვესტმანაეიარი-ფრამი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 50 | დერი-ჰერპსი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 22:45 | 51 | ბრეი-ლონგფორდი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 22:45 | 52 | შემროკი-დროგედა | 2.90 | 3.00 | 2.25 | 1.47 | 1.26 | 1.28 |
| 22:45 | 53 | სტ.პატრიკსი-შელბურნი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| 22:45 | 54 | კორკი-ბოჰემიანი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 49 | უოტერფორდი-დუბლინი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 13:30 | 64 | იჩიჰარა-ნიიგატა | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 13:30 | 65 | კაშიმა-კავასაკი | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 14:00 | 66 | ნაგოია-იოკოჰამა | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 14:00 | 67 | ტოკიო-ვერდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 14:00 | 68 | კობე-შიმიცუ | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| 14:00 | 69 | ურავა-ომია | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 14:00 | 70 | ივატა-ჩერეძო | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 71 | გამბა-კაშივა | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| 14:00 | 72 | ოიტა-ჰიროსიმა | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 76 | ვაშინგტონი-კანზასი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 77 | ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 78 | კოლამბუსი-სან ხოსე | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 23:45 | 79 | ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 23:45 | 80 | ჩივასი-სოლტ ლეიკი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 81 | პაისანდუ-ფორტალესა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:00 | 82 | პარანა-ფიგეირენსე | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:00 | 84 | ჟუვენტუდი-ბრაზილიენსე | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 85 | სან კაეტანო-პონტე პრეტა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 87 | კორინთიანსი-პალმეირასი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 88 | ვასკუ და გამა-ინტერნასიონალი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 23:45 | 89 | კრუზეირო-ატლეტიკო მნ | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 23:00 | 90 | ბოტაფოგო-ფლუმინენსე | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 23:00 | 91 | გოიასი-სანტოსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

**ჩილე**

**9 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 153 | კოკიმბო-უნ.ესპანიოლა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

**საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიაში**

**8 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 96 | იანგ ბოიზი-კაიზერსლაუტერნი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 99 | ბაზელი-ტრაბზონი | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |

**უკრაინა. სუპერ თასი (ოდესა)**

**9 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 138 | დინამო-შახტარი | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |

**სლოვაკეთი. სუპერ თასი (ნეიტ)**

**8 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 139 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |

**ოქროს თასი (აშშ)**

**8 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 129 | სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| 23:45 | 130 | გვატემალა-იამაიკა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

**ინტერტოტოს თასი**

**9 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 106 | პოგონი-სიგმა | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 19:15 | 110 | შტურმი-ვოლფსბურგი | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 17:30 | 111 | გიოტებორგი-ტატაბანია | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:00 | 112 | ბილბაო-კლუჟი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 22:00 | 113 | შარლერუა-ტამპერე | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 19:00 | 116 | დინაბურგი-ჟალგირისი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 22:00 | 120 | ბუდუჩნოსტი-დეპორტივო | 3.60 | 3.50 | 1.75 | 1.77 | 1.17 | 1.16 |

**10 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 105 | ზლინი-გენტი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 107 | გლორია-სლავენი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 20:00 | 109 | ლეხი-ლანსი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 19:30 | 114 | ქსამაქსი-სტ.ეტიენი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 115 | იანგ ბოიზი-ლოკერენი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| 20:00 | 117 | ინტერი ტურკუ-ვარტექსი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 19:30 | 119 | პობედა-ჰამბურგი | 4.30 | 3.50 | 1.65 | 1.92 | 1.19 | 1.12 |

**ჩოგბურთი. კაცები**

**ბაშტადი. თიხნარი**

**8 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 253 | ზაბალეტა-ბერდიხი | 1.40 | 2.60 |
| 13:00 | 254 | რობრედო-იუჟნი | 1.40 | 2.60 |

**ჩოგბურთი. კაცები**

**გშტაადი. თიხნარი**

**8 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 259 | გაუდიო-სეპი | 1.15 | 3.80 |

**ჩოგბურთი. კაცები**

**ნიუპორტი. ბალახი**

**8 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 19:00 | 257 | მუდი-მარტინაკი | 1.55 | 2.30 |
| 19:00 | 258 | რუსედსკი-დიუპუა | 1.35 | 2.85 |

**ფრენბურთი.კაცები**

**მსოფლიო ლიგა. (სერბეთი)**

**8 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 19:00 | 140 | კუბა-პოლონეთი | 1.80 | 1.80 |
| 22:00 | 141 | სერბეთი-ბრაზილია | 2.30 | 1.50 |

**ფრენბურთი. კაცები. ევროლიგა**

**8 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 20:00 | 142 | ფინეთი-გერმანია | 1.80 | 1.80 |

**9 ივლისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 143 | რუსეთი-ესტონეთი | 1.05 | 8.00 |
| 15:00 | 162 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.25 | 3.20 |
| 20:00 | 163 | თურქეთი-ჩეხეთი | 1.40 | 2.65 |

**კრივი**

**8 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 152 | ჯ.მური-მ.ჯონსი | 1.25 | 20.00 | 3.60 |






## ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 200.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 25.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 13.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 9.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.90 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფრიზახერი | 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 5.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 23.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 200.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 100.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 160.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 19.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი) | | |
|---|---|---|
| 12129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 12130 გვატემალა-იამაიკა | 1.70 | 1.90 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს | | |
|---|---|---|
| [illegible] | | |
| 14129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 2.50 | 1.30 |
| 14130 გვატემალა-იამაიკა | 2.00 | 1.75 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 გვატემალა-იამაიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში | კი | არა |
|---|---|---|
| 13129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 13130 გვატემალა-იამაიკა | 1.70 | 1.90 |

| ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად) | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17130 გვატემალა-იამაიკა | 1.85 | 1.95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.60 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11130 გვატემალა-იამაიკა | 5.00 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10129 სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 5.50 | 2.20 | 1.80 | 1.57 | 1.35 | 1.00 |
| 10130 გვატემალა-იამაიკა | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ბოლო შანსია განა
## ქართველებს აფრიკაში დასცხებათ


გელა ელერდაშვილი

**სამ** დღეში საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები აფრიკაში გაემგზავრება და 15-17 ივლისს დევისის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად განას დაუპირისპირდება. პირველ ჯგუფში გადახვლის შანსი ჩვენებურებმა ამ გაზაფხულზე ბულგარეთში, იქაურ ნაკრებთან მარცხის შემდეგ დაკარგეს.

ნაკრების კაპიტანი გელა ელერდაშვილი განაში ირაკლი ლაბაძესთან, ლადო ჩიხლაძესთან და ირაკლი უშანგიშვილთან ერთად ჩავა. ამჟამად მის განკარგულებაში მხოლოდ უშანგიშვილია, ლაბაძემ და ჩიხლაძემ კი ევროპული ტურნირების გამო ვერ მოახერხეს შეკრებაზე ჩამოსვლა.

ლაბაძე თბილისში 9-ში იქნება, ჩიხლაძე კი ალბათ გზაში შემოგვიერთდებაო, გვითხრა გუშინ ელერდაშვილმა.

ცხადია, მომავალ მეტოქეზეც დავეკითხეთ და შევიტყვეთ, რომ აფრიკელთა პირველი ნომერი მსოფლიო, კლასიფიკაციის ხუთასეულში მკვიდრობს. ამ მხრივ, უპირატესობა ქართველთა მხარესაა, თუმც მასპინძლების ერთ-ერთი მთავარი კოზირი საკუთარი კედლები და კლიმატი იქნება. განა აფრიკის უცხელესი ქვეყანაა და შუა ივლისში თაკარა მზეში თამაში ქართველებს ძალიან გაუძნელდებათ. ქართულ დელეგაციას ოთხი დღით ადრე გამგზავრება სწორედ კლიმატთან შესაგუებლად გადაუწყვეტია.

**ოთარ მაღლაკელიძე**


ირაკლი ლაბაძე

# ორნი არიან, მშრალად არიან

**შვედეთის ღია პირველობა**
**ბასტადი. თიხნარი.**
**საპრიზო 302 ათასი €**

**მეორე წრე**

**ტომი რობრედო** (3, ესპანეთი) — გაელ მონფი (საფრანგეთი) 6:4 4:2 *მონფიმ შეწყვიტა;* **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 7:6 (7:3) 6:2; **მიხაილ იუჟნი** (6, ესპანეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 4:6 7:6 (7:4) 7:5

**მარიანო** საბალეტა ტურნირის ორგზის ტიტულდამცველია, კარლოს მოია კი — 2002 წლის ჩემპიონი. ამდენად, გასაგებია, რომ მათ დაპირისპირებას გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. მატჩს დამატებით ინტრიგას სძენდა ის გარემოებაც, რომ დახვეწილი ესპანელის ექვსგზის ძლეულ არგენტინელს მისთვის მხოლოდ ერთხელ და ისიც სწორედ ბასტადში, 2003 წლის ნახევარფინალში მოეგო.

მოია წლეულს ისე-რა ფორმაშია და, მართალია, განსაკუთრებით არც საბალეტა ბრწყინავს, მათ სათიხნარო გაწევ-გამოწევაში მაინც ამ უკანასკნელმა იმარჯვა. იმარჯვა და სეზონის პირველ ნახევარფინალში გასაღწევად ჩეხ ბერდიხს უნდა დაპირისპირებოდა.

მესამე ნომრად განთესილი ტომი რობრედო ბარძაყატკივებულ ფრანგ თინეიჯერ გაელ მონფის გასცდა და წლეულს თავის მეოთხე მეოთხედფინალს უწია. მასთან შესახლელად გაივაკა რუსმა მიხაილ იუჟნიმ, ვისაც მასთან აქამდე მხოლოდ ერთხელ ეთამაშა და დამარცხებულიყო. ორივეს — რობრედოსაც და იუჟნისაც საკარიეროდ ორ-ორი ტიტული მოეძევებათ, მაგრამ წლეულს კი ჯერ-ჯერობით მშრალად არიან.



**დორტმუნდის სუპერტურნირი**

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

# მასპინძელი ნაიდიჩი სამშობლოში დაიკარგა


ნაიდიჩისა და კრამნიკს ადრეც უთამაშიათ


ვესელინ ტოპალოვი

**დღეს** დორტმუნდში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სუპერტურნირი იწყება და მასში 10 ცნობილი მოჭადრაკე ითამაშებს.

წლევანდელ გათამაშებაში არ მონაწილეობს შარშანდელი გამარჯვებული, ინდოელი ვიშვანათან ანანდი, თუმც ამის მიუხედავად ტურნირი ძლიერი მოჭადრაკეების ნაკლებობას სულაც არ უჩივის და სიძლიერით კვლავაც მე-19 კატეგორიისა.

ტურნირის ორგანიზატორები ყოველწლიურად ახალ-ახალ ექსპერიმენტებს იგონებენ და თამაშებს ფორმატს უცვლიან. თავის დროზე გათამაშება ორ წრედ ტარდებოდა, გასულ წელს კი ორ-ორი ჯგუფი შეადგინეს და მათში გამარჯვებულები ოლიმპიური სისტემით დაუპირისპირეს ერთმანეთს. წლეულს ათი მოჭადრაკე ერთმანეთში მხოლოდ თითო მატჩს გამართავს და შავ-თეთრი ფიგურებიც კენჭისყრით ერგებათ.

ტურნირის ფავორიტი 3,75 „კუშით" ფიდეს რეიტინგის მესამე ნომერი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვია. წლევანდელი სეზონი სლავი დიდოსტატისთვის ურიგოდ არ მიდის. თებერვალში მან გარი კასპაროვთან ერთად ესპანეთში ლინარესზე იპირველა, მაისში კი საკუთარ სამშობლოში სოფიის სუპერტურნირი მოიგო. ვესელინს, ფიდეს რეიტინგში მეორეზე მეოთხე ანანდის მსგავსად, 2788 პუნქტი აქვს მოგროვილი, ინდუსი კი დორტმუნდში არ თამაშობს და თუ აქ ტოპალოვმა იგიჩალა, ეგებ აზიელის ადგილიც ჩაიბარ-როს.

4 კოეფიციენტით ფავორიტებს შორის მეორე ტურნირის ორგზის მომგები უნგრელი პეტერ ლეკო. მადიარმა დიდოსტატმა იანვარში ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი მოიგო და მუდამ სტაბილური თამაშით გამოირჩევა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ლეკოს საკმაოდ ძლიერი ნერვიული სისტემა აქვს და ჭადრაკის თამაშისას ეს დიდად გამოადგებათ.

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ რუს ვლადიმერ კრამნიკს 4,5 „კუში" უწერია მოგებაზე. წლეულს კრამნიკს აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია, თუმც გასულ წლებში დორტმუნდი ექვსჯერ მოიგო და ხელწამოსაკრავი მეტოქე სულაც არ არის.

რუსეთის ოთხგზის ჩემპიონმა პეტერ სვიდლერმა გასულ წელს დორტმუნდში მესამე ადგილი მოიპოვა და გადამწყვეტ მატჩში თვით ლეკის მოიგო. რუსი დიდოსტატი [illegible], ცოცხალი აზროვნებით გამოირჩევა და მოგებაზე 6,5 [illegible] უწერია.

ფავორიტების შორის მეხუთე ადგილზე 13 „კუშით" კომბინაციური მებრძოლი ინგლისელი მაიკლ ადამსია. ერთი კვირის წინ ალბიონელმა მოჭადრაკემ სუპერკომპიუტერ „ჰიდრასთან" საშინლად 0,5:5,5 წააგო და, როგორც ამბობენ, შოკიდან ჯერ არ გამოსულა.

ტურნირზე ასევე თამაშობენ საფრანგეთის ჩემპიონი ეტიენ ბაკრო, [illegible] ემილ სუტოვსკი, [illegible] პიტერ ჰეინ ნილსენი, [illegible] ლუკ ვან ველი და [illegible] წარმომადგენელი, 17 წლის არკადი ნაიდიჩი. ბოლოს ჩამოთვლილ მოჭადრაკეებს ტურნირის მოგებაზე საკმაოდ დიდი „კუშები" უწერიათ და მათზე საუბრის გაგრძელებაც არ ღირს. რაც შეეხება არკადი ნაიდიჩს, იგი გათამაშების ყველაზე [illegible] წევრია და მსოფლიოს საუკეთესო ასეულში არ ირიცხება. ამიტომაც [illegible] იმედი მგონი, თვით გერმანელებსაც არა აქვთ და მოგებაზე 50-იანი „კუშით" დაუწერეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# გარია და დარია ანუ ეს იყო პეტერბურგში

**დიდი** ჭადრაკიდან წასულმა გარი კასპაროვმა მესამე ცოლი შეირთო. მისი რჩეული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტი დარია ტარასოვაა.

გარიმ და დარიამ ერთმანეთი სანკტ პეტერბურგის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, პრესკონფერენციაზე გაიცნეს და მას შემდეგ ხშირად ხედავდნენ ერთად. წყვილს კარგად იცნობს ცნობილი პეტერბურგელი დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი. ისინი მასთან ხშირად ყოფილან სახლში.

„გარი ძალიან სათუთად ეპყრობოდა გოგონას, ამბობდა, რომ დაშაზე სერიოზულად ფიქრობდა და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა" — იხსენებს მარკის მეუღლე ნადეჟდა.

როგორც გარის მეგობრები ამბობენ, წყვილმა ქორწილი ერთი თვის წინ გადაიხადა და ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში თაფლობის თვეს ატარებენ.



ახლა კი ცოტა კასპაროვის ძველ სიყვარულებზეც ვთქვათ. გულთამპყრობელმა გარიმ პირველად მსახიობი მარინა ნეელოვა მოხიბლა და მისგან გოგონა ნიკიც ეყოლა, თუმც ისინი ოფიციალურ ქორწინებაში არ ყოფილან. კასპაროვის პირველი კანონიერი მეუღლე კი მარია არაპოვა გახდა, რომელთანაც მეორე გოგონა — პოლინა შეეძინა. 10 წლის შემდეგ დიდოსტატი იულია ვოვკოზე დაქორწინდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მასაც დაშორდა. რაც შეეხება გარის ახლანდელ სიყვარულს, დარიას, იგი 12 წლით პატარაა ქმარზე და ერთი უმცროსი ძმა ჰყავს.

დარიას საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონია. დედამისს მარტოდმარტო გაუზრდია ერთი შვილი და ფინანსურადაც დიდად დალხინებული არ ყოფილა. ამის გამო დარიამ გადაწყვიტა, რომ ბევრი ეკითხა და ადამიანთა ყურადღება [illegible] მან საკუთარ ოთახში [illegible] გააკრა წარწერით: „[illegible] წინააღმდეგობას ვერა, [illegible] საკუთარი თავის".

დარიამ თავის დევიზს არ უღალატა და ცნობილი ადამიანიც გახდა. გასულ წელს მან სანკტ პეტერბურგში [illegible] ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი [illegible] დაამთავრა და საუნივერსიტეტო ჟურნალის გმირიც შეიქნა.

„მსურს, მქონდეს საკუთარი სახლი და იდეალური ოჯახი შევქმნა მინდა, მეყოლოს ბავშვი და [illegible] იყოს, რომელიც პატარაობისას ძალიან აკლდა. ამჟამად [illegible] თანაც მსურს მომავლის შექმნა, [illegible] იმედებს ამართლებს. იგი ნამდვილი ოჯახის ადამიანია" — ეს დარიამ გასულ წელს თქვა კასპაროვზე და ერთი წლის თავზე ოცნება რეალობად აქცია.

**ლაშა გეგეჭკორი**

200 წლის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა კვლავ დაამარცხა საფრანგეთი და ესპანეთი, ზედ კი ამერიკა და რუსეთიც მიაყოლა.

„ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მთავარი სპორტული ნადავლი მოვიპოვეთ — ამბობს „ლონდონი 2012“-ის საგანაცხადო კომიტეტის მეთაური, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან კოე — დღეს ჩვენი დღეა“!

გუშინდელ „სარბიელში“ გამოთქმული ჩვენი ვარაუდი, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ერთი შეხედვით უეჭველმა ფავორიტმა პარიზმა სოკ-ის სესიაზე გამართულ კენჭისყრაზე ხმები ჟაკ შირაკის ხუმრობების გამო დაკარგა, გამართლდა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი გაზეთები წერენ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის არც თუ ისე დიპლომატიურმა გამონათქვამებმა, უწინარეს ყოვლისა კი ბრიტანული და მასთან ერთად ფინური სამზარეულოს აბუჩად აგდებამ, პარიზს ხმები დააკარგვინა. ეს დაკარგული ხმები კი ლონდონის სასარგებლოდ გადავიდა.

გუშინდელი ბრიტანული გაზეთების პირველი გვერდები აჭრელებულია მხიარულ ტრაფალგარის მოედანზე გადაღებული სურათებით.

ლონდონის მიერ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩაგდებას ოფიციალურად ახლავე ზეიმობენ ის ბიზნესები ლონდონში ტურისტულ აქტივობას მოზრდილად. თუმცა, გაზეთები ახლა არა იმდენად სპორტულ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას, რამდენადაც ეკონომიკურზე.

ლონდონის გამარჯვებით ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე ფინანსური და ეკონომიკური ცვლილებები აქვთ. სინგაპურში კენჭისყრის შედეგის გამოცხადებისთანავე ლონდონში უმალ აიწია სასტუმროებისა და რესტორნების ქსელების მფლობელი კომპანიების აქციების ფასმა მნიშვნელოვნად, სასტუმროების ქსელის აქციების მფლობელი კომპანიის WHITBRED-ის, PIZZA HUT და TGI FRIDAY-ის რესტორნების აქციები უკვე 2,5 პროცენტით გაძვირდა. ხოლო HILTON GROUP PLC-ის სასტუმროების ქსელისა — 1,5 პროცენტით. 2,3 პროცენტით გაძვირდა პაბების უმსხვილესი ქსელის ოპერატორის ENTERPRIZE INNS PLC-ის აქციებიც.

ექსპერტთა შეფასებით, ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისა და მისი ჩატარების პერიოდში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2 მილიარდ ფუნტით (3 მილიარდი დოლარი) გაიზრდება. ახლა კი ტურიზმის სფეროდან ლონდონის წლიური ბრუნვა 9,4 მილიარდი ფუნტი სტერლინგია.

ამ ოლიმპიური თამაშების ხელში ჩაგდებით ლონდონის ხეირზე ჩვენ კვლავაც ვისაუბრებთ. ახლა კი დავუბრუნდეთ იმ რეზონანსს, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქის გამარჯვებამ გამოიწვია.

ბრიტანული გაზეთები დითირამბებს უძღვნიან ლონდონის საგანაცხადო კომიტეტის მეთაურს, ლორდ სებასტიან კოეს. ისინი ქებას აღავლენენ კოეს ლობირების ტალანტზე. ამასთან დაკავშირებით „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ ლონდონის გამარჯვება განაპირობა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე... მისმა მონაწილეობამო.



ლონდონელთა საგანაცხადო დესანტი სინგაპურში

AFP სინგაპურიდან

# ქებათა ქება ლორდ სებასტიან კოესი

**ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნელსონის კოლონაა, რომელიც 1805 წელს საფრანგეთის და ესპანეთის ფლოტზე ბრიტანული ფლოტის გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა**



ჩერი და ტონი ბლერები

AFP სინგაპურიდან



ლორდი სებასტიან კოე

საიდან სადაო, ალბათ იკითხავთ, მაგრამ იმ დროის სებასტიან კოე არც ლორდი იყო და არც ოლიმპიური ჩემპიონი. იგი ერთ-ერთი ცნობილი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მორბენალი იყო. მაშინ კოემ ყურად არ იღო მოწოდება მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის თაობაზე, რასაც ძალზე მკვეთრად და დაჟინებით მოითხოვდა მარგარეტ ტეტჩერი. მიუხედავად ამისა, კოე მოსკოვში ჩავიდა და თავისი პირველი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

„ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს იმდროინდელი ესპანეთის ელჩი მოსკოვში ხუან ანტონიო სამარანჩი — იხსენებს გარდიანი — კოეს გადაწყვეტილებამ აღაფრთოვანა სამარანჩი და მას მერე იგი ამ სპორტსმენს თავის შეღობილად თვლის.“

და ლორდმა კოემ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, სამარანჩის გრძნობებზე მთელი მოცულობით იმოქმედა. „გარდიანის“ თქმით, კოე მოელაპარაკა სამარანჩს და მის შვილს, ასევე ხუან ანტონიო სამარანჩს, რომელიც იმავდროულად ახლა მადრიდის საგანაცხადო კომიტეტის მეთაური იყო. მათი შეთანხმებით, იმ შემთხვევაში, თუ მადრიდი ვერ გააღწევდა ფინალში, მაშინ ესპანეთის ხმები ლონდონისკენ მიემართებოდა.

სხვათა შორის, როგორც „გარდიანი“ წერს, სწორედ ხუან ანტონიო სამარანჩს უნდა უმადლოდეს მოსკოვი, რომ მან 15 ხმა მიიღო, რითაც სრულ დამცირებას გადაარჩინა რუსეთის დედაქალაქი.

„სამარანჩი დღემდე ინარჩუნებს ძალზე თბილ დამოკიდებულებას მოსკოვის მიმართ. ამიტომაც სინგაპურში მისი უპირველესი საზრუნავი რუსეთის დედაქალაქისთვის ხმათა მოპოვება იყო, რათა რუსეთის დედაქალაქის დელეგაციის წევრები, დამარცხების მიუხედავად, შინ თავაწეულნი დაბრუნებულიყვნენ, ვითომდა ღირსეულად წავაგეთო.

„გარდიანს“ მოჰყავს ცხრილი, რომელშიც ათბალიანი შკალით მოცემულია კენჭისყრაში მონაწილეთა როლი. ამ ცხრილის სათავეშია სებასტიან კოე, რომელსაც ათი შესაძლებლიდან ათი ბალი აქვს. მას რვა ქულით მოჰყვება ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი.

ყველა ბრიტანული გაზეთი აღნიშნავს იმ უდიდეს როლს, რომელიც სინგაპურში ბლერის ჩასვლამ ითამაშა კენჭისყრაზე. ბლერის წვლილს აღნიშნავს თვით „ტაიმსიც“, რომელიც ლეიბორისტების მიმართ დიდი სიმპათიებით სულაც არ გამოირჩევა. „ტაიმსი“ აღფრთოვანებით მოგვითხრობს „ბედნიერ ბლერზე“.

„ტაიმსი“ წერს, რომ სინგაპურში ტონი ბლერისა და მისი მეუღლე ჩერის ვიზიტისას ისინი პირადად შეხვდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორმოცდაათამდე წევრს. „ტაიმსი“ იქვე იმოწმებს ერთ-ერთი მათგანის, კანადელი ცნობილი ოლიმპიური მოღვაწის დიკ პაუნდის სიტყვებს:

„უნდა დაიჩოქოთ და მადლობა მოახსენოთ თქვენს პრემიერმინისტრს. ის და მისი მეუღლე ძალზე დინამიური წყვილია, მათ აქვთ საკვირველი თვისება, რითაც თანამოსაუბრეებს თავიანთ მხარეს იბირებდნენ“.

ფინალური კენჭისყრისას ბლერები უკვე გლენიგლსში იყვნენ, სადაც დიდი რვიანის სამიტზე ჩავიდნენ.

„ისინი ისე ღელავდნენ, რომ სინგაპურიდან გადმოცემულ ტელეტრანსლაციას ვერც კი უყურებდნენ. მათი თანაშემწეების თქმით, რომლებიც მსგავს დეტალებს უიშვიათესად ამხელენ, ცნობილი გახდა, რომ მას მერე, რაც ლონდონის გამარჯვება გამოცხადდა, ტონი და შერი ერთმანეთს ეცნენ, გულში ჩაიკრეს ერთმანეთი და გადაკოცნეს“ — ასე გულისამაჩუყებლად ამთავრებს თხრობას „ტაიმსი“.

მაგრამ დავუბრუნდეთ „გარდიანის“ ცხრილს. მესამე ადგილზე კოეფიციენტით 6/10 მოდის საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი არ იყოს, ყველა გაზეთი მას ადანაშაულებს უადგილო ხუმრობებში, რამაც პარიზის დამარცხება განაპირობა. მეტიც, „ფაინენშლ ტაიმსი“ შირაკზე რაღაც პოლიტიკური ნეკროლოგის მსგავს სტატიას აქვეყნებს. გაზეთი ამტკიცებს, რომ ჟაკ შირაკს ახლა თავისი ათწლიანი პრეზიდენტობის ხანაში ყველაზე ძნელი დღეები უდგასო.

„ევროკავშირის კონსტიტუციის თაობაზე მაისის რეფერენდუმის ჩავარდნის შემდეგ ჟაკ შირაკმა თავისი პოლიტიკური რეპუტაციის აღორძინება ტონი ბლერთან ჭიდილის საშუალებით გადაწყვიტა. ევროკავშირის სამიტზე მათმა ამასწინდელმა ჩხუბმა და მათმა პირადმა მონაწილეობამ სინგაპურში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე გაგვახსენა ინგლის-საფრანგეთის ოდინდელი ბატალიები“.

ბოლო ბატალიიდან გამარჯვებული ბლერი გამოვიდა, ხოლო შირაკი, როგორც „ფაინენშლ ტაიმსი“ წერს, მეფე ლირივით გამოიყურება, რომელიც მართავს იმ ქვეყანას, საკუთარი მომავლისა რომ ეშინია“.

ოთხშაბათს საღამოს საფრანგეთისა და ბრიტანეთის ლიდერები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ოღონდ ამჯერად უკვე გლენიგლსში დიდი რვიანის სამიტზე. აქ, „ტაიმსის“ აზრით, „პირადი ურთიერთობანი, როგორც არასოდეს, არსებით როლს ითამაშებს“.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ „სწორედ ტონი ბლერსა და ჯორჯ ბუშს შორის მეგობრობის წყალობით ეს უკანასკნელი დათმობაზე წავიდა კლიმატის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით“, და ახლა გლენიგლსში სამიტი გაცილებით წარმატებული იქნება, ვიდრე ეს ორიოდე დღის წინ ჩანდა“.

ოღონდ, რა თქმა უნდა, აქ ისევ შირაკია და თუ ბრიტანულ სამზარეულოზე მის უკვე ფრთიან ფრაზად ქცეულ გამონათქვამს გავიხსენებთ, „ტაიმსი“ ფრანგ პრეზიდენტს „პრიმიტიულ სნობს უწოდებს, რომლის პოლიტიკური დოქტრინა ფორმირებული იყო მისი კუჭის ზემოქმედებით.“ მაგრამ მისი თანაშემწეების თქმით, რომელსაც გაზეთი იმოწმებს, ჟაკ შირაკი „შოტლანდიაში შესარიგებლად ჩავიდა და არა ახალი ჭიდილის მოსაწყობად“.

ოღონდ ეს უკვე პოლიტიკური თემაა...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ლონდონის გამარჯვება შვიდკაცას ოლიმპიური შანსია

**მართალია,** სინგაპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-ე სესიაზე უკვე შეირჩა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, მაგრამ ჩვენი ყურადღება ამ აზიის ქალაქისკენ ახლა უფრო მეტი ინტერესითაა მიპყრობილი, სადაც ხუთრგოლიანი ოჯახის წევრებს მუშაობა ჯერ არ დაუსრულებიათ.

მაგრამ მანამ უშუალოდ ჩვენი ინტერესის სფეროზე შევჩერდებოდეთ, ჯერ ის ვიკითხოთ, რამდენად გვაძლევს ხელს ლონდონის გამარჯვება.

ერთი შეხედვით, ეს უადგილო კითხვაა და ჩვენთვის, თუ არ ჩავთვლით პირად სიმპათიებს თუ ანტიპათიებს, სულ ერთი უნდა იყოს, ლონდონს დარჩებოდა გამარჯვება, პარიზს თუ მადრიდს. თითოეული მათგანი და, რაღა თქმა უნდა ნიუ იორკიც, დარწმუნებულნი ვართ, ბრწყინვალედ ჩაატარებდნენ და მომავალში კვლავაც უმასპინძლებენ ოლიმპიურ თამაშებს.

და მაინც, ჩვენთვის უკეთესია, რომ ლონდონმა გაიმარჯვა.

საქმე ისაა, რომ ბრიტანელებს, მოგეხსენებათ, დიდ რაგბთან ერთად ძალზე უყვართ შვიდკაცა




რაგბიც. შვიდკაცა რაგბთან არც ჩვენ ვართ მწყრალად და მომავალში თუ სპორტის სხვა რომელიმე სახეობა შეაღწევს ოლიმპიურ პროგრამაში, გვინდა, რომ ეს სწორედ შვიდკაცა რაგბი იყოს.

ახლა კი მივადექით მთავარ სათქმელს — დღეს სინგაპურში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შერჩევაზე არანაკლები მნიშვნელობის კენჭისყრა გაიმართება. ეს კენჭისყრა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ცვლილებებს შეეხება.

ახლა, 1936 წლის ბერლინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ პირველად, შესაძლოა, ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღონ სპორტის ერთ-ერთი სახეობა, ხოლო მის ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ხუთი, ოღონდ იმ პირობით, რომ პროგრამაში კვლავინდებურად 28 სახეობა დარჩება.

მაშინ, 1936 წელს სპორტის ბოლო სახეობა, რომელიც პროგრამიდან ამოიღეს, ცხენბურთი იყო.

დღეს სინგაპურში ოლიმპიური პროგრამის ოცდარვავე სახეობას ცალ-ცალკე უყრიან კენჭს. ის სახეობა, რომელიც სულ ცოტა ხმათა 51 პროცენტს მოიპოვებს, ოლიმპიადაზე ადგილს შეინარჩუნებს. კენჭისყრის შედეგები მხოლოდ მას შემდეგ გამოცხადდება, როცა ოცდარვავე სახეობას უყრიან კენჭს.

ამ კენჭისყრას წინ უძღოდა სპორტის ამა თუ იმ სახეობათა სამწლიანი შესწავლა, რომლის შედეგიც სოკ-ის 265-გვერდიან ანგარიშში აისახა.

იმ შემთხვევაში, თუ სპორტის რომელიმე სახეობა ხმათა 51 პროცენტზე ნაკლებს მოაგროვებს, მაშინ იგი ოლიმპიურ პროგრამას გამოეთხოვება, მის ადგილს კი ხუთიდან ერთ-ერთი დაიკავებს. ოღონდ ეს უკვე ხვალ გაირკვევა.

იმ სახეობათა შორის, რომლებიც ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრის პრეტენზიას აცხადებენ, არის: გოლფი, კარატე, სკვოში, შვიდკაცა რაგბი და გორგოლაჭებიანი სპორტი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა.

სავარაუდოდ, იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიურ პროგრამას სპორტის გუნდური სახეობა გამოაკლდება, მის ადგილზე განიხილავენ გოლფის ან შვიდკაცა რაგბის შეტანას. დარბაზის სახეობათაგან გამოკლების შემთხვევაში ადგილს შეავსებს სკვოში, კარატეს ერთ-ერთი დისციპლინა ან გორგოლაჭებიანი სპორტი.

ჩვენდა სასიხარულოდ, ლონდონის გამარჯვებამ გააძლიერა შვიდკაცა რაგბის პოზიციები, რომელიც დიდ ბრიტანეთში საკმაოდ პოპულარულია. ამ სახეობისადმი ბრიტანელთა ოლიმპიური ინტერესის დასტური იყო სინგაპურში სოკ-ის სესიაზე პრეს-ცენტრში გამოჩენილი რაგბის საერთაშორისო კავშირის ბუკლეტი, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი სპორტის ეს სახეობა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# შვიდკაცას ხუთრგოლიანი განზომილება

**2012 წელს** ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს რომ ლონდონი უმასპინძლებს, უკვე ყველამ იცის, თუმცა სოკ-ს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ამ დღეებში გაირკვევა, სპორტის რომელი სახეობა გამოაკლდება და რომელი დაემატება ოლიმპიური თამაშების პროგრამას.

კანდიდატთა შორის ერთ-ერთი ლიდერი შვიდკაცა რაგბიც გახლავთ და აბა, ჩვენ, ქართველებმა, სხვას რას უნდა ვუქომაგოთ, თუ არა ოვალურბურთა თამაშს.

იმის გასარკვევად, თუ რა შანსები აქვს ჩვენთვის ასე მოკლე ხანში შესისხლხორცებულ თამაშს ოლიმპიადაზე მოსახვედრად, საჭიროა, ცოტაოდენი ციფრები მოვიყვანოთ და იმის გაგებასაც შევეცადოთ, აკმაყოფილებს თუ არა შვიდკაცა ოლიმპიურ კრიტერიუმებს.

სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ რაგბი ოლიმპიადის მაყურებელთა რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის. ტურისტების გარდა, რომლებიც ოლიმპიადაზე ჩავლენ, გაიზრდება ტელემაყურებლების, ინტერნეტსაიტებზე შემსვლელთა რაოდენობა და შესაბამისად შემოსავლებიც. ოლიმპიადაზე წარმოდგენილი სპორტის 28 სახეობიდან უფრო მეტი შემოსავლის მოტანა მხოლოდ თითო-ოროლას შეუძლია.

მოდით, სპეციალისტთა ზემოხსენებული დასკვნები ფაქტებით გავამყაროთ. ჰონკონგში ჩატარებულ შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი დღის განმავლობაში 120 ათასი ბილეთი გაიყიდა. ამ მაჩვენებლით რაგბი მხოლოდ მძლეოსნობას, კალათბურთს, ფეხბურთს და ჩოგბურთს ჩამორჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შვიდკაცა გაცილებით უფრო პოპულარულია, ვიდრე დანარჩენი 24 ოლიმპიური სახეობა.

იმავე სპეციალისტთა გაანგარიშებით, შვიდეულთა რკენის მომზირალი გულშემატკივარი ბილეთებში 10 მილიონ დოლარზე მეტს გადაიხდის.

ტურისტებზეც ვთქვათ. ავსტრალიის მთავრობის ცნობით, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისას ქვეყანას 65 000 უცხოელი ესტუმრა. იტყვით, ეს დიდ რაგბიზეო, ამიტომ სხვა ცნობასაც მოგაწვდით. ჰონკონგი ტურისტთა ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, თუმცა, როგორც იქაურებმა იანგარიშეს, ჩამომსვლელთა რაოდენობამ სარეკორდოს სწორედ შვიდკაცას მსოფლიოს პირველობის მსვლელობისას მიაღწია.




ისევ ფინანსებს დავუბრუნდეთ. საერთაშორისო რაგბის კავშირი (IRB) სიმდიდრით მხოლოდ FIFA-ს (ფეხბურთი) და IAAF-ს (მძლეოსნობა) ჩამორჩება.

რაგბი მეხუთე ადგილზეა იმ ქვეყანათა რაოდენობის მიხედვით, რომელთა ტელევიზიებიც მის სანახაობლად ყიდულობენ უფლებებს.

ისევ ჰონკონგური სტატისტიკა — მსოფლიოს ჩემპიონატი 89 ქვეყანაში იხილეს და პოტენციური მაყურებელთა რაოდენობა 700 მილიონ ადამიანს აღემატებოდა. ტელევიზიათა უმეტესობას, რომლებიც მორაგბეთა თამაშის გადაცემის უფლებას ყიდულობენ, ახალგაზრდა მაყურებელი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ სპორტის ეს სახეობა მეტად პოპულარულია თინეიჯერთა შორის. ამ მაჩვენებლით რაგბი მხოლოდ ფეხბურთს ჩამორჩება.

იმედია, სოკ-ი ამ მონაცემებს გაითვალისწინებს და შვიდკაცა რაგბის ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანს, რომელიმე სპორტის სახეობის ნაცვლად, რომელთა სანახავადაც ხშირად მოთამაშეთა ნათესავებსაც კი ეზარებათ სპორტულ დარბაზში მისვლა და ტელეკამერებიც მოწყენილ, სანახევროდ ცარიელ ტრიბუნებს აფიქსირებენ.

**ლადო ფულუკიძე**

## ველორბოლა

### ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

# ფასა ბერტოლოს ველომხედარი



**მეექვსე** ეტაპმა „ტურ დე ფრანსზე" ტრუაში აიღო სტარტი და ველომრბოლთა მიერ 199 კმ-ის დაფარვის შემდეგ ნანსში დამთავრდა.

„ფასა ბერტოლოს" იტალიელმა ველომხედარმა, ლორენცო ბერნუჩიმ, რომელმაც პროფესიონალურ ველოსპორტში სულ რაღაც 3 წლის წინ შედგა ბორბალი, პირველობას უწია. ეს მისი პირველი გამარჯვებაა პროფესიულ სარბიელზე. იტალიელს ცოტათი ჩამორჩა, მაგრამ მაინც მისი დრო დაიწერა ყაზახმა ალექსანდრ ვინოკუროვმა, რომელიც „ტი-მობილის" გუნდში ასპარეზობს.

გერმანელი რობერტ ფორსტერი ლიდერს 7 წამით ჩამორჩა. მისი დრო დაეწერა ამერიკელ ლენს არმსტრონგსაც, რომელსაც რამდენჯერმე ემუქრბოდა კონკურენტებთან შეჯახება, თუმცა საბოლოოდ ველოსიპედის დამორჩილება შეძლო და შედეგად ყვითელი მაისურა შეინარჩუნა.

საერთო ჩათვლაში არმსტრონგს 55 წამით ჩამორჩება თანამემამულე და თანგუნდელი ჯორჯ ჰინკაპი, მესამეზე ვინოკუროვია, წუთზე ოდნავ მეტი ჩამორჩენით.

დღეს ლუნევილში მეშვიდე ეტაპია და იგი ლონდონში მომხდარი ტერაქტების გამო წუთიერი დუმილით დაიწყება.

**ლადო ფულუკიძე**

## ჭიდაობა

# ნახევარი ჭიდაობა წინაა
## ოთხი დღეს, ოთხიც ხვალ

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ჩამთავრების შემდეგ ვილნიუსის მთავარმა საჭიდაო არენამ ერთი დღით დაისვენა, დღეიდან კი ხალიჩა ბერძენ-რომაელებს ეთმობათ და ხვალ საღამოსთვის უკვე რვავე წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორი გვეცოდინება.

დღეს 50, 60, 74 და 96-კილოგრამიანები იჭიდავებენ. ჩვენი ოთხეულიდან ყველაზე გამოცდილი ოთარ ფევაძეა (74კგ). იგი ორი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორიცაა და შარშანდელი ევროპისაც. ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი გივი მორჩილაძე (96კგ), 2003 წლის ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის მომგები ზურაბ ზავრაშვილი (60კგ) და ლაშა გოგიტაძე (50კგ) კი ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად არიან.

**ოთარ გალაკელიძე**




AFP ლონდონიდან

# ახალი ოლიმპიური სახლი

*კოცნა ლონდონის ტრაფალგარის მოედანზე იმას ნიშნავს, რომ 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ლონდონია! ამასვე ნიშნავს პარიზის მერის, ბერნარ დელანოს ჩაფიქრებული სახე და ატირებულ და ნირწამხდარ ნიუიორკელთა და მადრიდელთა სახეები. ვიღაცას ბავშვიც კი მიუტოვებია, რათა უკეთ გაეგონა სოკ-ის თავმჯდომარის, ჟაკ როგის ხმა. მან კი თქვა: ლონდონი! და ლონდონმა ეს დაიმსახურა...*



AFP სინგაპურიდან



AFP ნიუ იორკიდან




AFP მადრიდიდან




AFP ნიუ იორკიდან



AFP მადრიდიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე
ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად ძისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge